40
969

ეროვნული
ბიბლიოთეკა

140

ЗАМБЗА

1969





მუსიკა ოთარ დიხამინჯიასი

ლექსი გიორგი კაჭახიძისა

დღეს ახალი წელი არის,
მზე უცინის თვალში,
გაიცინა ნაძვის ხემაც,
აბა ტაში, ტაში!

მისამღერი:

დავუაროთ, შემოვძახოთ
სიმღერები ერთად,
თოვლისფერი თოვლის პაპაც
აგერ მღერის ჩვენთან.

ბედნიერი იყოს ჩვენთვის
ეს ახალი წელი.
გაგვიმრავლდეს მეგობრები,
არ გვენახოს ცრემლი.

მისამღერი:

დავუაროთ, შემოვძახოთ
სიმღერები ერთად,
თოვლისფერი თოვლის პაპაც
აგერ მღერის ჩვენთან.

გაგვიმრავლდეს ბეჯითები,
არ ვიცოდეთ დაღლა,
და სამშობლოს გასახარად
გვეცალოს წინ და მაღლა.

მისამღერი:

დავუაროთ, შემოვძახოთ
სიმღერები ერთად,
თოვლისფერი თოვლის პაპაც
აგერ მღერის ჩვენთან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლამაზია ცა,
ზღაპრულ სივრცეს ჰგავს.
მატიანე წერს
სამოცდაცხრა წელს.
ჩემს საყვარელ ხალხს,
ბარაქიან ველს
მრავალ ახალ წელს
მოვულოცავ დღეს!

ქობა ჭუმბურიძე,
თბილისის 117-ე საშუალო სკოლის
VI კლასის მოსწავლე.

10356

საქართველოს პლკ. ცენტრალური
კომიტეტისა და ბ. ი. ლენინის სახელობის
ნორკ კომუნისტურ ორგანიზაციის
ავსკეთლიური საბჭოს ყოველთვიური
საბავშვო ტრანსლი

ვარცხნა

1 · ი ა ნ ვ ა რ ი · 1969

გამოცემის 43-ე წელი

საქართველოს სახელმწიფო
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. ი. ლენინი და
კ. ე. ვოროშილოვი.
1921 წ.
მარტი. მოსკოვი.

ითავ ეოჟეჯანჯე

ნ. ხოძა

ეს მოხდა მაისში, დიდი ხნის წინათ. წითელ მოედანზე ის-ის იყო მშრომელთა კოლონებმა ჩაიარეს, პარადი დამთავრდა, მაგრამ ხალხი მაინც არ იშლებოდა. ყველამ იცოდა: პარადის შემდეგ ლენინი მოხსენებით უნდა გამოსულიყო. ყველას უნდოდა ლენინის ნახვა, მისი მოსმენა.

უცებ, წითელ მოედანზე საბარგო მანქანა გამოჩნდა. მანქანის ძარაში ბავშვები იდგნენ. ჩვეულებრივი რუსული სახეები ჰქონდათ, ოღონდ არაჩვეულებრივი ჩაცმულობით კი იპყრობდნენ ყურადღებას. ერთ ბიჭს ინდური რიდე შვენოდა, მეორეს — თურქული ფოჩებიანი ფესი, მესამეს ბუდიონურა ეხურა, მეოთხეს — წითელბურთულიანი ჩინური ქუდი. მათ გვერდით მუშის ხალათში გამოწყობილი ბიჭი და ქალამნიანი ბიჭუნა იდგნენ. პირველს ხელში ურო ეჭირა, მეორეს — ნამგალი.

მანქანის შუაში, შემაღლებულ ადგილას, კარგად მოჩანდა მეწამულ მოსასხამში გახვეული გოგონა. გოგონას ხელში დროშა ეჭირა. დროშაზე ეწერა:

„ჩაგრულო ხალხო! დალეწე მონობის ბორკილები!“

— ვინ არიან ეს ბავშვები? სადაურები არიან? — უკვირდა ხალხს.

— ინდოელია. — ამბობდნენ ერთნი და ხელს იშვერდნენ თავზე რიდემოხვეული ბიჭისაკენ.

— თურქია. — ამბობდნენ მეორენი და ფესიან ბიჭს უცქერდნენ.

— ჩინელია. — ირწმუნებოდნენ მესამენი და უთითებდნენ ბიჭზე, რომელსაც წითელბურთულიანი ქუდი ეხურა.

ვიღაც კაცი შეეკითხა მანქანაზე მყოფთ:

— ბავშვებო, სადაურები ხართ?

ბუდიონურიანმა ბიჭმა მიუგო:

— ჩვენი რაზმი ახალგაზრდა კომუნისტების რაზმია.

— მერედა, რატომ ხართ გადაცმულები?

მოსასხამში გახვეულმა გოგონამ უპასუხა:

— მე ასე იმიტომ მაცვია, რომ რევოლუციას გამოვხატავ ჩემი ჩაცმულობით.

ურიანმა ბიჭმა თქვა:

— რევოლუციის დროშის ქვეშ შევიკრიბენით ყველა ჩაგრულები: ჩინელები, ინდოელები, თურქები. ზანგიცა გვყავდა, მაგრამ მას, სანამ აქ მოვაღწევდით, გზაში მჭვარტლი გადაეცალა.

— ყოჩაღ, კარგი რამ მოგიფიქრებიათ! — შეაქეს უფროსებმა ბავშვები, — დასანანია, რომ ვლადიმერ ილიჩს არ უნახიხართ. მან ახლა მოხსენება უნდა გააკეთოს, აგერ, იმ ტრიბუნიდან...

— ბიჭებო! — წამოიძახა ქალამნიანმა ბიჭმა, — ამხანაგი ლენინი აქა ყოფილა! მოვიწვიოთ ჩვენთან!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანქანაზე მყოფთ ბანი მისცეს:

— მოვიწვიოთ, მოვიწვიოთ!

ორი ბიჭი გამოეყო ამხანაგებს, ერთი ჩინურქუდიანი იყო, მეორე კი — ინდურრიდიანი.მანქანიდან ჩამოხტნენ და ხალხში გაუჩინარდნენ.

— ვერ გააღწევენ, — ეეჭვებოდათ უფროსებს. — ზღვა ხალხია ტრიბუნასთან...

ბავშვებს მართლაც გაუძნელდათ გზის გაკაფვა. სანამ ისინი ტრიბუნასთან მივიდოდნენ, ლენინს უკვე დაეწყო ლაპარაკი. ხალხი კედელივით შემორტყმოდა ტრიბუნას. ვერასგზით ვერ მოხერხდებოდა იმ კედლის გარღვევა და ტრიბუნასთან მისვლა.

სასოწარკვეთილი ბავშვები ლამის ატირდნენ. აღარ იცოდნენ, რა ეღონათ. ნუთუ უკან უნდა გამობრუნებულიყვნენ?!

უცებ, „ვაშას“ ძახილი გაისმა და ბავშვები მიხვდნენ, რომ ლენინმა დაამთავრა სიტყვა. მაშინ ბიჭებმა გეზი ისევ ტრიბუნისაკენ აიღეს. ყველა მათ უცქერდა. იღიმებოდნენ და ამბობდნენ:

— რიდიანი ბიჭი, რასაკვირველია, ინდოეთიდან არის ჩამოსული. ეს ბიჭი კი უთუოდ ჩინელია. გაატარეთ, ალბათ ლენინის ნახვა სურთ.

ყველამ გზა დაუთმო ბავშვებს. ბოლოს მათ მართლაც მიაღწიეს ტრიბუნას, მაგრამ ტყავისკურტაკიანმა ჯარისკაცმა ბიჭები შეაჩერა. ჯარისკაცმა შეხედა ბავშვების მორთულობას — ჩინურ ქუდს, ინდურ რიდეს და ჰკითხა:

— ვინა ხართ? არ შეიძლება თქვენი ასვლა ტრიბუნაზე, გასაგებია? არ შეიძლება!

ბავშვებმა ჯარისკაცს უთხრეს:

— ჩვენ ჩაგრულ ხალხთა შვილები ვართ.

— აქ რა გნებავთ, ამხანაგო დაჩაგრულებო?

— ჩვენ ამხანაგ ლენინის მიწვევა გვინდა... ჩვენს საბარგო მანქანაზე... შორს კი არა... აქვე... მოედანზე...

ჯარისკაცმა ხელი წაავლო ბიჭებს და უკან დასწია:

— არა, არ შეიძლება. ვლადიმერ ილიჩი დღეს სამჯერ გამოვიდა მოხსენებით, დაიღალა! სული მოათქმევინეთ! უნდა დაისვენოს!

ბიჭებმა უთხრეს:

— მაშინ ნება დაგვრთეთ, ერთხელ მაინც შევხედოთ ლენინს. შევხედავთ და წავალთ.

ამ დროს შორიახლოდან მოისმა:

— ეს რა ჯურის ხალხია?

ჯარისკაცმა მოახსენა:

— ესენი ჩაგრული ხალხის შვილები არიან, ამხანაგო ლენინ, თქვენი დანახვა უნდათ.

ბიჭებმა ყვირილი ატეხეს:

— ჩვენ დაჩაგრულები არა ვართ! ჩვენ განვასახიერეთ ისინი... წარმოვადგინეთ... ჩვენ ახალგაზრდა კომუნისტთა რაზმი ვართ!

ლენინი სწრაფად ჩამოვიდა ტრიბუნიდან:

— გამარჯობათ, ამხანაგო ახალგაზრდა კომუნისტებო, — უთხრა მან ბავშვებს. — მე გამიგია თქვენი რაზმის ამბავი...

ბიჭები ერთხმად აყაყანდნენ, ერთმანეთს არ აცლიდნენ:

— ბავშვებმა დაგვავალეს თქვენი მოწვევა... ჩვენ ბევრნი ვართ... აი, იმ საბარგო მანქანით მოვედით... მანქანის შუაში დგას რევოლუცია წითელი დროშით...

— ძალზე საინტერესოა! — თქვა ლენინმა. — სიამოვნებით შევხვდები რევოლუციას. აბა, წავიდეთ! გზა მიმასწავლეთ. — ამ სიტყვებით იგი ბავშვებს შუაში ჩაუდგა. ორივეს ხელი ჩასჭიდა.

როცა ისინი საბარგო მანქანასთან მივიდნენ, ყველამ ერთხმად შესძახა „ვაშა“. ლენინმა თავი გადაიქნია და თქვა:

— იმიტომ მომიწვიეთ, ბავშვებო, რომ გეჩვენებინათ რა ომახიანი „ვაშას“ ძახილი ვიცითო?!

— სიხარულისაგან შემოვძახეთ „ვაშა“! — აუხსნეს ბავშვებმა. — იმიტომ, რომ თქვენ ჩვენთან მოხვედით...

—მაშინ გავიცნოთ ერთმანეთი, — თქვა ლენინმა. — აჰ! აი, თვითონ დროშიანი რევოლუციაც...

ლენინს ძალიან მოეწონა გოგონა, რომელსაც რევოლუციას ეძახდნენ. იგი იდგა შემაღლებულ ადგილას და დროშა მაღლა აეწია. ქარი ისე არხევდა დროშას, რომ ლენინმა ვერასგზით ვერ ამოიკითხა, რა ეწერა ალამზე. მაშინ ბავშვებმა ხელი წაავლეს ტილოს. ქარმა ისევ წამოუბერა და დროშა იალქანს დაამსგავსა. შორიდან ისე გეგონებოდათ, წითელ მოედანზე იალქნიანი გემი მოცურავსო, ხოლო იალქანზე სწერია: „ჩაგრულო ხალხო! დალეწე მონობის ბორკილები!“

ახალგაზრდა კომუნისტებს ეგონათ, ვლადიმერ ილიჩი ისე, უბრალოდ მოვიდოდა მათთან, ნახავდა მათ და წავიდოდა. მაგრამ ლენინი არ მიდიოდა. მან საუბარი გაუბა ბავშვებს.

ლენინმა თქვა:

— მემამულეებს და მეფაბრიკეებს სურთ წაგვართვან თავისუფლება. მათ უნდათ, მუშები და გლეხები ისევ მონებად აქციონ. მაგრამ ეს არ მოხდება! თქვენი მამები, თქვენი უფროსი ძმები თავგამეტებით იბრძვიან კაპიტალისტებისა და თეთრგვარდიელების წინააღმდეგ. ჩვენ გავიმარჯვებთ!

ლენინმა ისიც დაურთო, რომ ახალგაზრდა კომუნისტები ყოველთვის და ყველაფერში უნდა დაეხმარონ ბოლშევიკებს.

როცა ლენინმა საუბარი დაამთავრა, ბავშვებმა ისევ შემოსძახეს „ვაშა“, მაგრამ წამსვე ხმა გაკმინდეს. წამით სიჩუმე ჩამოვარდა. ეს სიჩუმე დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგან გოგონამ უფრო მაღლა ასწია დროშა და სიმღერა წამოიწყო:

„აღსდექ, მშიერო, წამებულო,
ქვეყანავ, მშიერ მონების...

ბავშვები აჰყვნენ:

ღელავს გონება, მზად არს გული
დავანთოთ ცეცხლი ბრძოლისა“...

ბავშვები „ინტერნაციონალს“ მღეროდნენ, კომუნისტების ჰიმნს. ბავშვებთან ერთად ლენინიც მღეროდა.

ახალგაზრდა კომუნისტებს თავი სიზმარში ეგონათ. მათთან ერთად მღეროდა ლენინიც! თვითონ ლენინი!

აი, გაისმა უკანასკნელი სიტყვები ჰიმნისა, ბავშვებმა დაასკვნეს, ახლა კი წავა ლენინიო. როგორ გაეცილებინათ? — ამაზე ფიქრობდნენ. ჩინურად გამოწყობილმა ბიჭმა ვერ მოითმინა და წამოიძახა:

— ამხანაგო ლენინ, ნება მოგვეცით ხმადაბლა „ვაშა“ შემოვძახოთ, სულ ჩუმად, დაბალ ხმაზე...

ვლადიმერ ილიჩს გაეღიმა:

— რაკი გულით გსურთ...

მაშინ ბედნიერმა ბავშვებმა შემოსძახეს „ვაშა“, თავდაპირველად გაუბედავად, ხმადაბლა, შემდეგ ვეღარ მოუთმინათ გულმა და ხმამაღლა დააგუგუნეს თავიანთი „ვაშა“.

ლენინი ამაზე არ გაბრაზებულა, პირიქით, რატომღაც გაიცინა კიდეც, მერე ბავშვებს დამშვიდობების ნიშნად ხელი დაუქნია და სწრაფი ნაბიჯით გაეშურა თავისი მანქანისაკენ.

თარგმნა მარიამ კვაჭაძემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბორჯომის სეზონები

ს. ბეჩოელი.

მზკვრის პირას

როგორც ყოველთვის, შარშანაც ათასფრად მორთულ-მოკაზმული შემობრძანდა გაზაფხული ბორჯომის თვალწარმტაც ხეობაში. უხაროდა თვალსაც და გულსაც...

მაგრამ მალე, მზიან დარებს უჩვეულო თბილი წვიმები მოჰყვა. თბილმა წვიმამ კი მთათა ფერდობებსა და ღრანტეებში შემორჩენილი თოვლი ერთბაშად შლეგ ღვარცოფებად აქცია და ხევხუვებით თავქვე, მტკვრისაკენ დაუშვა.

ბორჯომის მკვიდრნი ადგილობრივმა რადიომ და გაზეთმა დროზე, გააფრთხილეს, მტკვარი ჩვეულებრივზე უფრო ადიდდებაო, მაგრამ თუ ასე გადაირეოდა, ამას ვინ იფიქრებდა!...

კიდევ კარგი, ყველაფერი დღისითმზისით დაიწყო...

ახლა დაუჯერებლადაც კი გეჩვენება კაცს, მტკვარი იმსიმაღლე ჯებირს თუ გადმოლეკავდა, სანაპირო ქუჩას გადმოთქერავდა და ბორჯომის 1-ლი ქართული საშუალო სკოლის შენობას ალყაში მოაქცევდა!

ასე კი მოხდა!

გამძვინვარებული წყალი პირველი სართულის ოთახებში შეიჭრა და შენობას დანგრევით დაემუქრა.

მთელი სკოლა, როგორც ერთი კაცი, ფეხზე დადგა და თავგამეტებით შეება სტიქიას.

მერე კი, როცა მდინარემ თითქოს გული იჯერა და კვლავ თავის კალაპოტში ჩაწვა, დიდი თუ პატარა მკლავებდაკაპიწებული შეუდგა ნათარეშევი ოთახებისა და ეზო-კარის გასუფთავებას სილისა და ღორღისაგან.

მოსწავლეები ბრიგადებად დაიყვნენ. თვითეული ბრიგადა განსაზღვრულ სამუშაოს ასრულებდა.

სამუშაო კი არა ერთი და ორი დღისა იყო...

უფროსკლასელებს პიონერ-მოსწავლეებიც ამოუდგნენ მხარში. ოთარ შველიძე, ეთერ ჯიქურაშვილი, პაატა შერაზადიშვილი, მარინე ჯავახაძე, თენგიზ ჯაფიაშვილი, ვახტანგ კუპრაძე, ალექსი ხითარიშვილი და სხვანი და სხვანი დღე და ღამეს ასწორებდნენ, რათა მშობლიური სკოლისათვის მალე დაებრუნებინათ წინანდებური შნო და ღაზათი.

იმავე დროს ისინი მოსახლეობასა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებსაც აშველებდნენ ხელს: დიდი ენთუზიაზმით იშრომეს წყლის მიერ დანგრეული ფურნის კვლავ ასაშენებლად, ახლომახლო ქუჩების წესრიგში მოსაყვანად, ქალაქის ორივე ნაწილის დამაკავშირებელი ხიდის აღდგენაზე.

ამ ყოფაში ზაფხულის არდადეგებიც მიიწურა და ახალი სასწავლო წელი დაიწყო.

დღეს სკოლის შენობა, შიგნით თუ გარეთ, დაკრიალებულ-დასუფთავებულია და ქალაქიც წინანდელზე კიდევ უფრო კოხტად გამოიყურება. ამაში „ბრალი“ 1-ლი სკოლის პიონერებსაც მიუძღვით.

ცხადია, ისინი იმისთვის როდი ირჯებოდნენ ასე თავდადებით, რომ ვისიმე ქება დაემსახურებინათ. ნორჩი ენთუზიასტები საკუთარი სკოლისა და ქალაქის წინაშე მხოლოდ თავიანთ პატრიოტულ ვალს იხდიდნენ. მაგრამ ნათქვამია, კაიკაცობა არავის დაეკარგებათ და, ბორჯომის 1-ლი ქართული საშუალო სკოლის პიონერული რაზმეული, ქალაქისათვის წყალდიდობისაგან მიყენებული ზარალის ლიკვიდაციაში თავის გამოჩენისათვის კომკავშირის რაიკომის სამახსოვრო ვიმპელით დაჯილდოვდა.

პირველსკოლელმა პიონერებმა ეს ჯილდო ღირსეულად დაიმსახურეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩვენი რაიონი არქეოლოგებისათვის, ეთნოგრაფებისათვის, საქართველოს ისტორიის მკვლევართათვის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო რაიონია, — გვესაუბრება სკოლის დირექტორი აკაკი შაყულაშვილი, — თვითეულ აქაურ სოფელს ხომ თავისი სახელოვანი ისტორია აქვს, სამხრეთიდან მოძალებულ მტრებთან ბრძოლაში საკუთარი სისხლით დაწერილი.. ვის არ სმენია თორის, ვაშლოვანის, ციხისჯვარის, ახალდაბის და სხვა სოფლების სიმამაცის ამბები! რამდენი აქაური მამულიშვილის ღვაწლია უკვდავყოფილი ქართველი ერის მატიანეში! ახლა ტაძრები და ციხე-სიმაგრეები აიღეთ. ზოგი მათგანი ჯერ კიდევ VII საუკუნეშია აგებული. ყველაფერი ეს კი ბუნებრივია, ამ არე-მარეში მცხოვრებ მოზარდებში, კერძოდ, ჩვენი სკოლის მოსწავლეებშიც კეთილ გამოძახილს პოულობს, საქართველოს გმირული წარსულისადმი დიდ პატივისცემასა და სიყვარულს აღვივებს მათ გულში. ამის თვალსაჩინო მაგალითი მხარეთმცოდნეთა წრის საქმიანობაც გახლავთ.

მართლაც, არ შეიძლება არ მოიხიბლო ნორჩი არქეოლოგებისა და ეთნოგრაფების — თემურ თაყაიშვილის, ზზია და მარინე თათანაშვილების, ქსენია და სვეტლანა ხაჩიძეების, მარინე კუპრაძის, მანანა ღამბაროვას, ლევან ფაღავას, თემურ გათაშვილისა და წრის სხვა წევრთა დაუოკებელი ცოდნისმოყვარეობით, საქართველოს სიძველეთა გაცნობა-შესწავლისადმი დიდი ინტერესით...

აგერ — მათი ხელით შედგენილი ბორჯომის რაიონის საკმაოდ მოზრდილი რუკა. რუკაზე, პირობითი ნიშნებით, დაწვრილებით არის ნაჩვენები, სად არის ესა თუ ის ძველი ღირსშესანიშნავი ნაგებობა, სად რა არქეოლოგიური ნივთია აღმოჩენილი... აგერ — ალბომიც. მასში ცოცხლად, საინტერესოდ არის მოთხრობილი თვითეული სოფლის ეთნოგრაფიულ თავისებურებებზე, არქეოლოგიური გათხრების დროს ნაპოვნი ნივთების ხნოვანებაზე, დანიშნულებაზე და ა. შ.

წრეს გაცხოველებული ურთიერთობა აქვს ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმთან. სულ ახლახანს იყო, წრის წევრებმა, მუზეუმის მუშაკებთან ერთად, სოფელ ჭობისხევთან არქეოლოგიურ გათხრებში რომ მიიღეს მონაწილეობა. ნორჩ არქეოლოგთა ხელებმა მიწის სიღრმიდან მზის სინათლეზე ამოიტანეს უძველესი ხანის საომარი და სამეურნეო დანიშნულების იარაღების ნიმუშები: ბრინჯაოს მახვილები, სათხედები, ცულები, ნაირ-ნაირი სამკაულები... მუზეუმის თანამშრომლები თავიანთ უმცროს მეგობრებს ხალისით უტარებენ კონსულტაციებს, ძიების ხერხებს ასწავლიან, ისტორიის ცოდნის გაღრმავებაში ეხმარებიან...

მხარეთმცოდნეთა წრის წევრები მხოლოდ თავიანთი რაიონის შესწავლით როდი იფარგლებიან. ამას წინათ მათ ჯერ მესხეთ-ჯავახეთში, ხოლო შემდეგ კახეთში იმოგზაურეს; გულდასმით დათვალიერეს თელავის, წინანდლის, ყვარლის ღირსშესანიშნაობანი, იყვნენ გრემში, იყალთოში, შუამთაში...

მტკვრის მღვრიე ტალღებმა სკოლის ფიზკულტურის დარბაზში ერთ მეტრზე მეტი სისქის შლამი დატოვა. მის გარეთ გაზიდვასა და იქაურობის დასუფთავებადალაგებას გარკვეული დრო მოუნდა. ამან კი სპორტში მეცადინეობა დიდად შეაფერხა. მაგრამ სპორტისმოყვარულმა მოსწავლეებმა გამოსავალს მიაგნეს: ქალაქის ცენტრალურ სპორტულ დარბაზს მიაშურეს. იქ მათ სტუმართმოყვრულად დახვდნენ და ვარჯიშის ყოველგვარი პირობა შეუქმნეს.

მერე კი სკოლის ფიზკულტურის დარბაზიც გამოცოცხლდა....

ბორჯომის 1-ლი საშუალო სკოლის მოსწავლე კონსტანტინე აბულაძე სამხედრო კაბინეტში თოფის დაშლა-აწყობას სწავლობს.

რამდენ ფიქრებს აუშლის ხოლმე პიონერებს სკოლის შინმოუსვლელთა სტენდი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი, დვირზეა მეექვსეკლასელი ტანმოვარჯიშე გოგონა სვეტლანა მელიქიძე. იგი მოხდენილად ასრულებს რამდენიმე, საკმაოდ ძნელ მოძრაობას. სვეტლანას თანაკლასელი მანანა გოგოლაძე ცვლის, მანანას კი — ემა ბაბაიანი. მწვრთნელი მათ თითო-ოროლა შენიშვნას აძლევს, შემდეგ ისინი კვლავ გაჰყავს დვირზე და თანდათან ხვეწს მათს ტექნიკას.

ირინე ლომიძე, ლიანა მაისურაძე, დალი მოდებაძე ნორჩი მძლეოსნები არიან. რომ იცოდეთ, რა გულმოდგინედ, რა დუღალავად ცდილობენ ისინი სირბილში, ხტომაში, თარჯრბენში უკეთეს და უკეთეს შედეგს მიაღწიონ!

დარბაზის ერთ მხარეს ბიჭუნები იწაფებიან: ზურაბ ლაზარაშვილი ღერძზე ტრიალებს, ნიკოლოზ გავა ორძელზე ყირას ჭიმავს, ნუგზარ კოპაძე რგოლებზე ვარჯიშობს, ბაგრატ ღამბარაშვილი ტაიჭზე ბრუნავს, ზურაბ ბათუაშვილი სალტო-მორტალეს გაკეთებას ლამობს...

დარბაზის თავზე კი, პატარა ოთახში, ჭადრაკის მოყვარულებს მოუყრიათ თავი. მათ შორის განსაკუთრებით ნანული კურტანიძე, დარეჯან ხუციშვილი, ალექსი ყორანაშვილი და დავით ზურაბაშვილი გამოირჩევიან. ოთხივენი მოსწავლეთა რესპუბლიკური შეჯიბრებისათვის ემზადებიან და ამიტომ ბეჯითად სწავლობენ საჭადრაკო თეორიის საფუძვლებს, პარტიებს არჩევენ, ეტიუდებისა და ამოცანების ამოხსნაში ვარჯიშობენ...

საერთოდ, მთელ სკოლაში იგრძნობა სპორტით გატაცება. თუმცა ეს არც არის გასაკვირი: ბორჯომის ძალზე რთული რელიეფი უნებლიეთ ხელა უწყობს ამ გატაცებას. მაგრამ ესეცაა: მარტო ბუნებრივი პირობები თავისთავად ბევრს არაფერს ნიშნავს, თუ სურვილი და მონდომება არ არის. ბორჯომის 1-ლი ქართული საშუალო სკოლის მოსწავლეებს კი სურვილიც დიდი აქვთ და მონდომებაც.

ხელი მოემართოთ!



ახალდაბაში

ახალდაბაში ჩვეულებრივი, სოფლური დილაა — ხალისიანი, სიცოცხლის ხმებით სავსე. საშუალო სკოლის დერეფნებში კი სრულ სიჩუმეს დაუსადგურებია. პირველი გაკვეთილია.

ახალდაბის საშუალო სკოლის ჩინებული ბიბლიოთეკა აქვს, ლია მაღრაძე მისი აქტიური მკითხველია.

სულ მალე ზარის წკრიალი გაისმის და რამდენიმე წუთში დერეფნებსა და ეზოს ბავშვების მხიარული ჟრიამული ეფინება. ბევრ მათგანს განსაკუთრებული სიხარულით უციმციმებს თვალები. ეს ისინი არიან, დღეს პიოველ გაკვეთილზევე რომ გაახარეს მასწავლებლები. მეხუთე კლასის მოსწავლეებმა მარინე ქიმერიძემ, მანანა მიქელაძემ და მიხეილ მაისურაძემ არითმეტიკაში „ხუთი" დაიმსახურეს, მეექვსეკლასელებმა მერი გურგენიძემ და გულნარა ჯიოშვილმა ქართულ ენასა და ლიტერატურაში გაკვეთილის ჩინებული ცოდნით ისახელეს თავი, VIII კლასის მოსწავლემ, პიონერმა გულნაზი ლომიძემ კი ქიმიაში ხუთიანი მიიღო.

„მხოლოდ „ფრიადზე" და „კარგზე" სწავლა!" — ასეთია ახალდაბის საშუალო სკოლის პიონერული რაზმეულის დევიზი. რაზმებში ჩამოყალიბებულია „სასწრაფო დახმარების ეკიპაჟები" — მოწინავე პიონერები ყველაფერს აკეთებენ სწავლაში ჩამორჩენილთა დასახმარებლად. ამ მხრივ განსაკუთრებულ გულმოდგინებას იჩენენ ნათელა კოპაძე, მანანა ბლიაძე, ქეთინო ბარბაქაძე, ლია სირაძე...

კარგი შედეგი მოაქვს „აკადემიური მოსწრების ესტაფეტას"—აქ ყოველდღე ჩანს რაზმების წარმატება სწავლაში. ესტაფეტაში პირველ ადგილზე გამოსულ რაზმს ყოველი კვირის ბოლოს საზეიმო ვითარებაში გადაეცემა ხოლმე რაზმეულის გარდამავალი დროშა. რა თქმა უნდა, თვითეული რაზმი ცდილობს სხვებს არ ჩამორჩეს, რაც, თავისთავად, მშვენიერ ნაყოფს იძლევა.

ყოველ შესვენებაზე სკოლის ბიბლიოთეკაში ტევა არ არის. კითხულობენ ახალ ჟურნალ-გაზეთებს. ბიბლიოთეკარი ნაზი კურტანიძე პიონერებს გულისყურით შეურჩევს ხოლმე ამა თუ იმ წიგნს და შინ ატანს. ხშირად იმართება წაკითხულის გარშემო საუბარი. ბიბლი-



ბორჯომის 1-ლი საშუალო სკოლის მეექვსეკლასელები ფიზიკის გაკვეთილზე.

ამავე სკოლის მოსწავლეებს გატაცებით უყვართ მუსიკა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთეკაში ჩამოყალიბებულია ნორჩ შემოქმედთა წრე. თინა იანვარაშვილი, მარინე ქიმერიძე, რიტა გელაშვილი, ეთერ პაპიძე და სხვები თავიანთ ახალ ლექსებსა და მოთხრობებს კითხულობენ, მსჯელობენ ერთიმეორის ნამუშევრის ღირსებასა თუ ნაკლზე...

პიონერთა ოთახში თვალს იტაცებს ნორჩი მხატვრების — ლია მაღრაძისა და გიორგი ოყროშიძის ნახატები, ქეთინო ბარბაქაძისა და ნოდარ ჩადუნელის მიერ გამოძერწილი ფიგურები, ხელმარჯვე გოგონების ნაქარგები...

ეზოში შინმოუსვლელთა ობელისკია აღმართული, მის აგებაში პიონერებმაც თავიანთი წვლილი შეიტანეს, ობელისკის გარშემო კი 100 ძირი მწვანე ნარგავი დარგეს და გაახარეს.

...ახალდაბიდან ორიოდე კილომეტრის დაშორებით ცადაწვდენილ ტყიან მთიდან ხეობას ამაყად გადმოსცქერის „თამარის ციხე". უყურებ და გიკვირს: იმ სიმაღლეზე, იმ კლდოვან, შვეულ ფერდობებზე რა ხელმა აიტანა საშენი ქვა და ქვიშა, რა ხელმა აღმართა მიუვალ ადგილას ესოდენ ლამაზი ციხე!

ახალდაბელმა პიონერებმა, გასულ შემოდგომაზე, სწორედ ეს ციხე ამოიღეს მიზანში და მისი დალაშქვრა მოიწადინეს. ეს კი იოლი საქმე როდი იყო! მხოლოდ ამტანი, უშიშარი, კლდეზე ცოცვაში გაწაფული ბავშვები თუ ააღწევდნენ ციხემდე. მაგრამ პიონერები არ შეუშინდნენ სიძნელეს. რაზმებად დაყოფილებმა სხვადასხვა მხრიდან მიიტანეს იერიში. ყველას მაინც, თემურ სირაძის მეთაურობით, მე-4 რაზმმა აჯობა და ციხის თავზე წინასწარ დამაგრებული დროშა ხელთ იგდო. ამ ლაშქრობის დროს ნებისყოფითა და გამარჯვებისაკენ შეუდრეკელი ლტოლვით თავი ისახელეს ნათელა კოპაძემ, ლია სირაძემ, ტრისტან სალარიძემ, გიორგი ოყროშიძემ, ნოდარ ჩადუნელმა...

— ვცდილობთ ჩვენი რაზმეული, თავისი ყოველმხრივი საქმიანობით, რაიონში მუდამ ერთ-ერთი პირველთაგანი იყოს, — გვეუბნება რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე თინა ბლიაძე. — იმედი გვაქვს, რომ ჩვენი პიონერები არაფერში არ შეირცხვენენ თავს.

ჩვენც ამის სრული იმედი გვაქვს.

ფოტო ანზორ ჩიგოგიძისა.

ᲕᲘᲓᲔᲝ ᲨᲔᲡᲐᲕᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲘᲡ ᲓᲠᲝ

ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲘ ᲒᲛᲘᲠᲘ

ᲨᲔᲜ ᲣᲗᲣᲚᲓ ᲝᲪᲜᲔᲑᲝᲗ ᲒᲛᲘᲠᲝᲑᲐᲖᲔ. ᲜᲐᲗᲔᲚ ᲓᲐ ᲕᲐᲟᲙᲐᲪᲣᲠ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲖᲔ. ᲓᲘᲓᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲘᲗ ᲙᲘᲗᲮᲣᲚᲝᲗ ᲛᲝᲗᲮᲠᲗᲐᲖᲣᲠᲔᲑᲘᲡ, ᲡᲬᲐᲕᲚᲣᲚᲔᲑᲘᲡ, ᲛᲮᲔᲓᲐᲠᲗᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲝᲑᲘᲡ ᲐᲛᲡᲐᲮᲕᲔᲚ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲔᲑᲡ, ᲒᲣᲚᲘᲡᲬᲐᲜᲪᲥᲐᲚᲘᲗ ᲐᲓᲔᲕᲜᲔᲑ ᲗᲕᲐᲚᲡ ᲙᲐᲕᲙᲐ ᲙᲝᲠᲩᲐᲒᲘᲜᲘᲡ. ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲛᲔᲠᲔᲡᲔᲔᲕᲘᲡ, ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲒᲕᲐᲠᲓᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲑᲔᲭᲓᲡ, ᲐᲦᲬᲔᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐᲠᲛᲐᲗᲘᲗ, ᲒᲣᲚᲘᲡ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲦᲐᲪ ᲙᲣᲜᲭᲣᲚᲨᲘ ᲙᲘᲓᲔᲕᲐᲪ ᲒᲨᲣᲠᲡ ᲛᲐᲗᲘ ᲓᲐ ᲒᲘᲜᲓᲐ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲘᲧᲝ, ᲠᲝᲒᲝᲠᲜᲘᲪ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲗᲣ ᲒᲘᲤᲘᲥᲠᲘᲐ ᲘᲛᲐᲖᲔ, ᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲡᲐᲥᲪᲘᲔᲚᲡ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲔᲬᲝᲓᲝᲡ ᲒᲛᲘᲠᲣᲚᲘ?

სხვადასხვა დროსა და ეპოქაში გმირობა სხვადასხვაგვარად ესმოდათ. მონათმფლობელურ საზოგადოებაში გმირებად, უპირველეს ყოვლისა, სთვლიდნენ იმ მხედართმთავრებს, რომლებიც იპყრობდნენ და არბევდნენ სხვა ქვეყნებს, მიჰყავდათ მონები. ფეოდალური საზოგადოების გმირი იყო გულადი რაინდი, რომელიც სრულყოფილად ფლობდა იარაღს, იყო მამაცი და ბრძოლაში დაუნდობელი. იგი, თავით-ფეხებამდე შეიარაღებული, ეძებდა ხიფათებსა და თავგადასავლებს. ერთი შეხედვით მას უნდა უჩვენოს თავისი კეთილშობილება, ძალა და სიჩაუქე, მაგრამ თუ ყველაფერ ამას ამ რომანტიკულ საბურველს მოვაცილებთ, ცხადი გახდება, რომ ისიც, უპირველესად, სამხედრო ნადავლს ეძებს.

ბურჟუაზიული საზოგადოებაც ქმნის თავის გმირს. ეს არის ცბიერი, ანგარებიანი, ეგოისტი, თავის კაპიტალისათვის „მებრძოლი".

მმართველი კლასები ხშირად შარავანდედით იმათ ამკობენ, ვინც მათს ინტერესებს იცავდა. სინამდვილეში ეს ადამიანები როდი არიან ისტორიის ჭეშმარიტი გმირები.

გმირი ის არის, ვინც თავის ძალას, ნებისყოფას, ვაჟკაცობასა და გონებას ექსპლოატატორთა ჩაგვრისაგან ადამი-



ანთა განთავისუფლების საქმეს ახმარდა, ვინც იბრძოდა დედამიწაზე სამართლიანობის დამკვიდრებისათვის. სპარტაკი და იან ჰუსი, ჯონ ბოლი, პუგაჩოვი, რაზინი — აი, ისტორიის ნამდვილი გმირები!

„...1881 წლის 3 აპრილს სიკვდილით დასაჯეს ცარიზმთან მებრძოლი ნაროდოვოლცები, ანდრია ჟელიაბოვი, ნიკოლოზ კიბალჩიჩი, სოფია პეროვსკაია, ტიმოთე მიხაილოვი. მეფე ალექსანდრე მეორე მოკლა რევოლუციონერმა გრინევიცკიმ. ამ გმირმა მეფესთან ერთად ჭურვით თავისი თავიც აიფეთქა.

ნაროდოვოლეცი ნიკოლოზ კიბალჩიჩი, მეფე ალექსანდრე II მკვლელობის ერთერთი მთავარი ორგანიზატორთაგანი, დააპატიმრეს და ციხეში ჩასვეს. კიბალჩიჩმა იცოდა, რომ სიკვდილით დასჯა არ ასცდებოდა. ამიტომ ყველა ღონე იხმარა და ციხის ზედამხედველი აიძულა მიეცათ მისთვის ფანქარი და ქაღალდი, რომელზეც დახაზა თავისი გამოგონებული საფრენი აპარატის სქემა. კიბალჩიჩს იმედი ჰქონდა, ამ სქემა-ნახაზს ოხრანკა მის საქმეს დაურთავდა, და მაშინ, როცა ის უკვე ცოცხალი აღარ იქნებოდა, ისტორიკოსები და სწავლულები ნახავდნენ არქივში მის საქმეებს და მის მიერ გამოგონებულ საფრენ აპარატსაც სიცოცხლეს შიანიჭებდნენ.

„თუ ჩემს იდეას, — წერდა კიბალჩიჩი, — განხორციელება უწერია, მაშინ მე ბედნიერი ვიქნები იმით, რომ სამშობლოს და ხალხს დიდ სამსახურს გავუწევ. მე მაშინ დამშვიდებული შევხვდები სიკვდილს, რადგან მეცოდინება, რომ ჩემი იდეა იარსებებს კაცობრიობაში, რომლისთვისაც მე მზად ვარ სიცოცხლე გავწირო“. 1881 წლის სამ აპრილს იგი სიკვდილით დასაჯეს.

კიბალჩიჩმა ჩაიდინა გმირობა, როგორც მეცნიერმა და როგორც რევოლუციონერმა. საფრენი აპარატის სქემა მართლაც იპოვნეს სასამართლო ძიების საქმეებში და სწავლულებს გადასცეს. ეს დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო სარაკეტო ტექნიკის დამუშავებაში, რამაც საბჭოთა მეცნიერება ესოდენ დიდ წარმატებამდე მიიყვანა.

ყველაფერი, რაც კი აქვს ადამიანს ჭეშმარიტად დიდი და გმირული — გონება, უდრეკი, რკინისებრი ნებისყოფა, სიძულვილი ყოველგვარი ჩაგვრისადმი, რევოლუციური შეგნება, ძალების შემოქმედებითი ძალების უსაზღვრო რწმენა, ვეება ორგანიზაციული გენია — ყველაფერი ეს შერწყმული იყო ვლადიმერ ილიას ძე ლენინის პიროვნებაში.

კომუნისტები, რომლებიც მხარში უდგნენ ლენინს, მისი თანამებრძოლები, ცდილობდნენ ყველაფერში დამსგავსებოდნენ დიდ ბელადს, რომელიც იყო მათთვის ყველაზე დიდი ავტორიტეტი, ყველაზე ნათელი იდეალი, ყველაზე დიდი მეგობარი და ამხანაგი.

...ერთხელ ფელიქს ძერჟინსკი და მისი ამხანაგები ტყეში დააპატიმრეს. ციხის კარებთან რომ მიიყვანეს გვიანი ღამე იყო. მაღალი დრაგუნი ძერჟინსკისკენ დაიხარა და უთხრა:

— წადი, თავს უშველე, ბნელი ღამეა და, ვიდრე დაგთვლიდნენ, მოახერხებ გაქცევას. მე არ გესვრი.

— არა, — უპასუხა ძერჟინსკიმ, — ამხანაგებს ვერ მივატოვებ.

მართლაცდა, ძერჟინსკისთან ერთად ციხეში მოხვდა გამოუცდელი ახალგაზრდობა. მათთვის ის იყო ფასდაუდებელი უფროსი ამხანაგი, საყრდენი. გარეთ დარჩენილი ამხანაგები ძერჟინსკის გაქცევას უწყობდნენ; მაგრამ მან განაცხადა: „მე იგივე ბედი უნდა გავიზიარო, რაც სხვებმა. მე არ მინდა ვინმემ იფიქროს, რომ ჩვენ რჩეულთათვის პრივილეგიებს ვქმნით. მე ჩემს ახალგაზრდა ამხანაგებთან უნდა დავრჩე.“ ძერჟინსკის შეეძლო გაქცევა, მაგრამ დარჩა. არც უთქვამს ვისთვისმე ეს ამბავი. მან ეს იმისათვის კი არ ჩაიდინა, რომ რაიმე განსაკუთრებული პატივისცემა მოეხვეჭა, არამედ იმისათვის, რომ გულწრფელად ზრუნავდა ამხანაგებისათვის. ახალგაზრდებს, რომლებთანაც იგი დარჩა ციხეში, მის გმირულ თავდადებაზე არაფერი გაუგიათ.

ოცდაორი წელი იბრძოდა ძერჟინსკი ცარიზმის დასამხობად. აქედან თერთმეტი წელი ციხესა და გადასახლებებში გაატარა. მაგრამ არ დანებდა, არ შეწყვიტა ბრძოლა ხალხის თავისუფლებისათვის. 1909 წელს ციხეში მყოფი თავის დღიურში წერდა: საშუალება რომ მქონოდა ცხოვრება თავიდან დამეწყო, მე მას სწორედ ისევე დავიწყებდი, როგორც დავიწყე“.

...პოლიციელზე თავდასხმისათვის მიხეილ ვასილის ძე ფრუნზეს ჩამოხრჩობა მიუსაჯეს, და სიკვდილმისჯილთა საკანში მოათავსეს. ეს მოლოდინის საშინელი დღეები იყო. ამხანაგები ერთიმეორეზე გაჰყავდათ საკნიდან ჩამოსახრჩობად. ზოგიერთი ორ-სამ დღეზე მეტს ვერ უძლებდა ლოდინს და ფსიქიურად ავადდებოდა, ფრუნზე განგებ ჰყავდათ ამ ჯოჯოხეთში ორ თვეს, მაგრამ ვერ გატეხეს. თუმცა ყოველწუთს შეეძლოთ მისი სახრჩობელაზე გაყვანა, ის კითხულობდა, აკეთებდა შენიშვნებს წაკითხულზე, სწავლობდა ინგლისურ ენას. ასეთი ურყევი ნებისყოფითა და საოცარი თავდაჭერით გამოირჩეოდნენ კომუნისტი-რევოლუციონერები, ადამიანები, რომლებსაც სწამდათ თავიანთი იდეების სისწორე.

ცხრამეტი წლის ჭაბუკი იყო კამო, არალეგალურ პარტიულ მუშაობაში რომ ჩაება თბილისში. 1905 წლის რევოლუციის დღეებში ის აყალიბებდა, იარაღით ამარაგებდა და წვრთნიდა მუშათა საბრძოლო ჯგუფებს, მონაწილეობდა მეფის ჯარებთან, პოლიციასა და შავრაზმელ ბანდებთან შეიარაღებულ შეტაკებებში. დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების ჩახშობისას კამო ხუთჯერ დაჭრეს.. ბოლოს კაზაკებმა შეიპყრეს და სასტიკად აწამეს, მაგრამ ციხეში ვერაფრით ვერ გამოტეხეს, ვერ ათქმევინეს ვინ იყო. კამომ შესძლო პოლიციის მოტყუება და ციხიდან თავი გაინთავისუფლა.

პეტერბურგი, 1906 წელი. სასტუმრო „ევროპეისკაიას“ ერთერთ ყველაზე ფეშენებელურ ნომერში ჩოხაახალუხში გამოწყობილი, ფლიგელადიუტანტის სამხრეებიანი მდიდარი ახალგაზრდა ოფიცერი გასამგზავრებლად ემზადება. ცნობილმა თავადმა კოკი დადიანმა შესანიშნავი დრო გაატარა დედაქალაქში და ახლა სამშობლოში ბრუნდება. სასტუმროსთან ეტლი ჩერდება. გასამრჯელოს მოლოდინში მსახურები თავს არ ზოგავენ, ეტლში დიდი სიფრთხილით ათავსებენ ვეება მძიმე სკივრს.

ნიკოლაევის ვაგზალთან მეეტლე ცხენებს აყენებს. თავადი თითით მოიხმობს მორიგე ჟანდარმს, ის თავქუდმოგლეჯილი გამორბის „მისი აღმატებულების“ დაძახებაზე.

— ეი, გამიგონე — ეუბნება თავადი. აჰა, ეს გასამრჯელო შენ, და ეს სკივრი ამ მისამართით გამიგზავნე,

ქვითარი კი აქ მომიტანე, დაველოდები.

როგორ გაოცდებოდა ის ჟანდარმი, საშუალება რომ ჰქონოდა ენახა მისი გაგზავნილი სკივრიდან რევოლუციონერები როგორ იღებდნენ იარაღსა და ასაფეთქებელ მასალას.

არაჩვეულებრივ ეშმაკობასა და მიხვედრილობას იჩენდა კამო ბევრ სხვა შემთხვევაშიაც.

...თბილისი. ვაგზლის მოედანი, ხალხში გამოჩნდა უბნის ზედამხედველი მაძებარი ძაღლით. პერონზე ძაღლი ერთბაშად ეცა ღარიბულად ჩაცმულ ქართველ გლეხს. გლეხი ერთი წუთით დაიბნა, შემდეგ ერთბაშად ძაღლი მკერდში ჩაიკრა და ფერება დაუწყო.

— შეხედეთ, ხალხო, რა ჭკვიანია! არ დავვიწყებივარ, მიცნო!

მერე გლეხი იქვე შეკრებილ ხალხს მიუბრუნდა და მოუყვა როგორ მოჰპარეს მას სამი თვის ლეკვი.

— და ხედავთ, როგორ მიცნო! რა ჭკვიანი ძაღლია, საოცარია პირდაპირ!

ზედამხედველი გაცბუნებული ღგას. იგი დაბნეულად შეჰყურებს გლეხს, გარშემოხვეულ ხალხს და დაძრულ მატარებელს. მატარებელი თანდათან უმატებს სიჩქარეს, როცა ბოლო ვაგონი პერონს გაუსწორდა, გლეხი თვალისდახამხამებაში შეახტა ვაგონის საფეხურს, კარებში მიიმალა.

1907 წლის ბოლოს კამო საზღვარგარეთ გაიქცა, მაგრამ პროვოკატორმა გასცა და ბერლინში დააპატიმრეს. გერმანიის ხელისუფლებამ გადაწყვიტა კამო რუსეთის მთავრობისთვის გადაეცა, რაც მისთვის აშკარა სიკვდილს ნიშნავდა.

...მოაბიტის ციხის ერთ-ერთ საკანში, სადაც „დაზღვევის აგენტი დიმიტრი მირსკი“ ჰყავდათ, სამარისებური სიჩუმე ერთბაშად საშინელმა ყვირილმა დაარღვია. ზედამხედველი სათვალთვალოს ეცა და დაინახა: ტუსაღი ყვიროდა, ტანზე ტანსაცმელს იგლეჯდა, იატაკზე ანარცხებდა კერძიან ჭურჭელს. ზედამხედველი შევარდა საკანში და ტუსაღს ეცა, ცდილობდა მის დაწყნარებას, მაგრამ პატიმარმა ერთი მოქნევით მიანარცხა იგი კედელს და ცემა დაუწყო.

— ასე ხომ!.. — გაცეცხლდა ზედამხედველი, — აბა კარცერში უკარით თავი! იქნებ იქ მოვიდეს გონს.

სარდაფის საკანში წყალი იყინება, კედლები რთვილით იფარება. იატაკზე აგდია თითქმის შიშველი პატიმარი. წოლა მეტი აღარ შეუძლია. იგი წამოვარდება და იწყებს წინ და უკან სირბილს. დარბის თითქმის შეუჩერებლივ. ასე გაიარა საშინელმა დღედაღამემ.

პროკურორმა მოიწვია ცნობილი ფსიქიატრების კონსილიუმი, ფსიქიატრები დარწმუნებულები იყვნენ თავიანთი ცდის წარმატებაში. შეშლილობის სიმულირება ფიზიკურ და სულიერ ძალთა ძალიან დიდ დაძაბვას მოითხოვს. ცხადია, დამნაშავე ორ კვირასაც ვერ გაუძლებს. ან ხელს აიღებს განზრახვაზე, ანდა მართლაც გაგიჟდება. ამაზე აშკარად მეტყველებს სასამართლო მედიცინის დიდი გამოცდილება.

დადგენილია, რომ ასეთი დაავადების დროს ავადმყოფი ჰკარგავს მგრძნობელობას. ამიტომ იწყებენ მის წამებას. ჯალათი ფრჩხილებქვეშ ურჭობს ნემსებს, წითლად გავარვარებული შანთით უწვავს ტანს. აუტანელი ტკივილია!.. ექიმები ავადმყოფს თვალებში შეჰყურებენ. თვალის გუგები ვიწროვდება. ეს ობიექტური მაჩვენებელია იმისა, რომ ადამიანი ტკივილს გრძნობს. აი თეძოსთან ვეება იარა გაუჩნდა, მაგრამ პატიმარი მშვიდად არის. არა, ასეთი არაადამიანური ტკივილების ატანა ნორმალურ ადამიანს არ ძალუძს. არ შეიძლება ოცი თვის მანძილზე ასეთი საშინელი, მძიმე მდგომარეობის სიმულირება! და კონსილიუმი ბოლოს დაასკვნის: „წინასწარგანზრახულ სიმულირებაზე ლაპარაკიც ზედმეტია“.

კამო ვერ გატეხეს.

1919 წელს ჩვენი ქვეყნის სამხრეთი თეთრგვარდიელებმა რომ დაიკავეს, ლენინის რჩევით კამოს დაავალეს მტრის ზურგში სპეციალური სადივერსიო რაზმის შექმნა.

კამოს რაზმმა ბევრჯერ მოატყუა მოწინააღმდეგ. ერთხელ ქალაქ მალო-არხანგელსკში ელვასავით შეიჭრნენ ცხენოსნები, რომლებსაც ქუდებზე დენიკინის კოკარდები ჰქონდათ.

ატყდა ზარების რეკა. ყოფილი ვაჭრები და მემამულეები რაზმის მეთაურ პოლკოვნიკს პურ-ღვინით ეახლნენ, თან იმ კომუნისტების სიაც გადასცეს, რომლებიც ქალაქში იმალებოდნენ. პოლკოვნიკმა ყველას მოუსმინა, სიებით მოსულთა მისამართები ჩაიწერა. ასე ჩაუვარდა კამოს ხელში მთელი თეთრგვარდიული ჯგუფი. ის პოლკოვნიკი ხომ კამო გახლდათ.

მაქსიმ გორკი წერდა: ის, რასაც კამოზე ჰყვებიან, იმდენად საკვირველი და ლეგენდარულია, რომ იმ გმირულ დღეებშიაც კი ძნელად დასაჯერებელი ხდებოდა თუ ადამიანში შეიძლებოდა შერწყმული ყოფილიყო ამდენი, თითქმის ზღაპრული გამბედაობა და მუშაობაში უცვლელი წარმატებები, არაჩვეულებრივი მოხერხებულობა და სულის ბავშვური უბრალოება.

რა ახსნა შეიძლება მოეძებნოს ასეთ საოცარ გმირობას? საიდან იღებდნენ რევოლუციონერები ასეთ გამძლეობას, ვაჟკაცობას, უსაზღვრო ენერგიას? რა აძლევდა მათ ძალას. ამ ძალის წყარო იყო ნათელი მიზანი — კომუნიზმის გამარჯვება. სწორედ კეთილშობილი მიზანი, რისთვისაც მოქმედებს ადამიანი — არის მთავარი გმირობაში. შეიძლება იყო მამაცი, არაფრად აგდებდე საშიშროებას, არ გეშინოდეს სიკვდილისა, მაგრამ თუ ყველა ეს თვისება მხოლოდ პირად კეთილდღეობას, პირად განდიდებასა და სახელს ხმარდება, — ეს გმირობა არ არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხიკვრი-ხეკვლი

იარო იოსელიანი,
საბჭოთა კავშირის გმირი.

მხატვარი **აკაკი თევზაძე.**

— ისევ ეს წყეული ხაფანგი ირწევა ჰორიზონტზე, ეშმაკმა დალახვროს! — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა ბელორუკოვმა და ქერა თმა ხელით უკან გადაივარცხნა, როგორც ხშირად იცოდა ხოლმე.

— ისევ ის არის? — ჩაეკითხა უფროსის პირველი თანაშემწე, ოფიცერი გრიგოლ გონჩარენკო, და უფერული წარბების ქვეშ მოციმციმე პატარა, მრგვალი თვალები მოჭუტა, — უნდა გავერიდოთ უბედურებას. მე მგონი, ეს ჯადოქარი ყოველდღე გვამჩნევს და თავისიანებს ატყობინებს, რომ ტარხანკეტის კონცხთან ვიმყოფებით. მტერიც ამიტომ გვივლის გვერდს და, აგერ, ათი დღეა, მშრალზე ვრჩებით, მოწინააღმდეგის ერთი ტრანსპორტიც კი ვერ შევნიშნეთ...

საბჭოთა სამხედრო-საზღვაო სარდლობის ცნობით, შავი ზღვის დასავლეთ ნაწილში ფაშისტები წყალქვეშა ნავების წინააღმდეგ იყენებდნენ ეგრეთწოდებულ ხომალდ-ხაფანგებს. ეს მართლაც ართულებდა საქმეს. ერთი შეხედვით ისინი ჩვეულებრივი სათევზაო კარჭაპები გახლდათ, სინამდვილეში კი გულმოდგინედ შენიღბული არტილერიითა და სიღრმის ბომბებით ძლიერ შეიარაღებული მონადირე გემები იყო, რომლებიც ჩვენს წყალქვეშა ნავებს უთვალთვალებდნენ, ახლოს უშვებდნენ ან, უკეთ რომ ვთქვათ, მიიტყუებდნენ ხოლმე და, უეცრად, თითქოს ჩათვლემილ ნიანგებს გამოეღვიძათო, შეტევაზე გადმოდიოდნენ. ასეთ ხაფანგებთან შებმული მრავალი წყალქვეშა ნავის დაღუპვა და შინ მიუსვლელობა, ბუნებრივია, ჩვენს წყალქვეშელებს აიძულებდა მეტი სიფრთხილე გამოეჩინათ.

— მე კი იმ აზრისა ვარ, რომ არ უნდა გავექცეთ ამ ეშმაკს. — შეედავა უფროსი თავის მოადგილეს და ჰორიზონტის დასაზვერავად ერთხელ კიდევ ასწია პერისკოპი. — აგერ, მეორე დღეა თავს ვარიდებთ და ალბათ, ტყუილად. ვინ იცის, იქნებ ამ დროს ნაპირთან მტრის ტრანსპორტი არხეინად მიცურავს თავისი გზით. აკუსტიკოსს ხომ ერთხელაც არ დაუჭერია მისი ხრახნების ხმა. შესაძლებელია, ეს მართლაც რქოსანი ეშმაკი ან ხაფანგი კი არ არის, ჩვეულებრივი სათევზაო კარჭაპია.

— ჩვენი აკუსტიკოსი კარგი კავალერისტი იქნებოდა, წყალქვეშ კი ეტყობა, შემთხვევით მოხვედრილა. თავისი კაკკასია რომ მოაგონდება ერთბაშად მწვერვალებზე შეინავარდებს ხოლმე ოცნების მერნით და ზღვის სიღრმე სად მოაგონდება!

— არა მგონია ჭითანავას რაიმე გამოეპაროს, — არ დაეთანხმა უფროსი. — ისე, კაცმა რომ თქვას, ურიგო არ იქნება, თუ ჭრილთან გამოვიძახებთ და შევახედებთ, ვისთან გვაქვს საქმე. იქნებ ამის შემდეგ უფრო იოლად გამოიჭიროს მტერი სასმენი ხელსაწყოებით.

აკუსტიკოსმა ყურადღებით მოისმინა უფროსის ახსნა-განმარტებანი და, როგორც კი ნებართვა აიღო, შეუჩვეველი თვალი პერისკოპის ოკულარს მიაპყრო. სულ რამდენიმე წამით ჩახედეს, მეტ ხანს პერისკოპის გაჩერება აწეულ მდგომარეობაში არ შეიძლებოდა.

— ეს მეთევზეთა კარჭაპია, — თქვა ჭითანავამ. — შეხედეთ, ბადეც კი გამოუბამთ. ასეთ კარჭაპებს ხრახნები როდი აქვს. ზედ სულ სამი კაცია... კარჭაპის გარშემოც, თუ არ ვცდები, არავინ ჩანს...

— ჰო, გარშემო... სუფთა ზედაპირია. — დაუდასტურა უფროსმა.

— მე თუ მკითხავთ, ახლოს უნდა მივიდეთ და კარჭაპი ხელთ ვიგდოთ...

— მართალია. მეც ასეთი აზრი მიტრიალებს თავში, — გაეხუმრა ნავის უფროსი, — გეგმა უნდა შევადგინოთ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

და უფროსმა შტურმანს უბრძანა, „ხაფანგს“ შეუმჩნევლად, ფრთხილად მიახლოვებოდნენ.

— ამხანაგო უფროსო, ხომ გახსოვთ, ერთი თვეც არ გასულა მას შემდეგ, რაც წყალქვეშა ნავი „ალქაჯი“ სწორედ ასეთსავე „კარჭაპს“ შეხვდა, — რაღაც ავბედითად სცრიდა სიტყვებს გონჩარენკო, — ფრთხილად მიუახლოვდა შენიღბულ მახეს. ანაზდად „კარჭაპმა“ ბუტაფორული ბადე მოიხსნა და „ალქაჯს“ ერთბაშად ორმოცდაათამდე ბომბი მიაყარა. ნავი შემთხვევით გადარჩა.

— ოჰ, ის, ჯერ ერთი, სულაც არ იყო ასეთი კარჭაპი, მეორეც... რისკი აქაც არის, რა თქმა უნდა, მაგრამ, ჩემო კარგო, ეს ომია. აბა, ურისკოდ როგორ იქნება!

— სიცოცხლე ადამიანს ერთხელ ეძლევა. — ფარხმალს არ ყრიდა გონჩარენკო.

— დიახ, ერთხელ! — დაუდასტურა ბელორუკოვმა. — ამიტომ ეს ერთი სიცოცხლე ისე უნდა გამოვიყენოთ, ჩვენი შვილებისა მაინც არ შეგვრცხვეს...

— ამხანაგო უფროსო! კარჭაპზე ხომ სულ სამი კაცია, — თითქოს ფარულად უკარნახა ჭითანავამ, — ნავის რისკში ჩაგდება არ ღირს. ახლა აგვისტოა, ზღვაში თბილა. დაგვავალეთ თუნდაც მე და მრეჩკოს, ჩავიცვამთ მსუბუქ საყვინთ სამოჩელს, გავალთ, გავიპარებით და ჩელთ ვიგდებთ იმ... კარჭაპია თუ ხაფანგი და ეშმაკი!

მესაჭე მრეჩკოს თითქოს ნემსი უჩხვლიტესო, ისე მობრუნდა, მავედრებელი მზერა ჯერ უფროსს მიაპყრო, მერე მის მოადგილეს, თითქოს რაღაცას ეკითხებაო, და ისე დაიბნა, აღარ იცოდა, როგორ მიეღო „თავზე ხელაღებული“ მეზღვაურის უცნაური წინადადება, (სხვა სიტყვით როგორ შეამკობდა ახლა ამ გადარეულ ჭითანავას!). ან იქნება ყურმა მოატყუა!

— მატროსო ჭითანავა! — კუშტად შესძახა გონჩარენკომ. — ძალიან ბევრის უფლებას აძლევთ თქვენს თავს. რას ნიშნავს: „იქ მხოლოდ სამნი არიან“? ეს ხომ ნიღაბია. ხინამდვილეში შეიძლება ოცდასამი აღმოჩნდეს, ხოლო კარჭაპი უეცრად მონადირედ იქცეს!

— უფროსო თანაშემწევ, ნუ ღელავთ! — შეაჩერა ბელორუკოვმა. — ჭითანავას აზრი მე ნაწილობრივ მომწონს. ხომ შეგვიძლია მოვითათბიროთ? რატომ არ შეუძლია აკუსტიკოსს თავისი აზრი გამოთქვას? აი, მე მინდა შტურმანის აზრიც მოვისმინო. აბა რას გვეტყვით, ლიუბიმოვ?

ყოველთვის მდუმარე, ბუნებით ცოტა ფლეგმატური ევგენი ლიუბიმოვი, შტურმანი, იგივე პარტორგი, არც ამჯერად ჩქარობდა პასუხის გაცემას, მაგრამ ბოლოს მაინც ამოიღო ხმა და თქვა:

— ჩემი აზრით, უფროსი მართალია. პირდაპირ სირცხვილია, რომ რაღაც კარჭაპი გვაშინებს და ნაპირთან ვერ მივსულვართ, სადღაც ზღვის სიღრმეში ჩავდივართ და ამ დროს ზედ ნაპირთან ალბათ დაუსჯელად დაცურავს მტრის ტრანსპორტი. ჩემი ფიქრით, ნაპირთან უფრო ახლოს უნდა მივცურდეთ, ნაპირსა და კარჭაპს შორის ფსკერზე ჩავჯდეთ, მყვინთავები გავგზავნოთ, რომ გაიგონ, ვისთან გვაქვს საქმე.

— მართალია, ევგენი პეტროვიჩ. — დაასკვნა უფროსმა.

არ გასულა დიდი ხანი, რომ ოცი მეტრის სიღრმეზე შლამიან ფსკერზე მიყუჩებული, „ფერიის“ სიგარისებური კორპუსიდან მსუბუქი საყვინთი სამოსით შემოსილი ორი მზვერავი ამოვიდა. ისინი წყლის ზედაპირზე თევზებივით მსუბუქად ამოსრიალდნენ და კარჭაპის მხარეს მიაშურეს.

ზედაპირზე უკვე აღარ იყო ისეთი სიწყნარე, რომლის დროსაც მოლივლივე წყალზე ყოველი საგანი, რა სიდიდისაც არ უნდა იყოს იგი, მზვერავთა ყურადღებას იპყრობს.

წყალქვეშა მზვერავები ზედაპირზე მთლიანად ამოცურვას სულაც არ აპირებდნენ. საერთოდ, არაფრით არ ამჟღავნებდნენ თავიანთ არსებობას. თუ ყურადღებას არ მივაქცევდით ბუშტებს, დროგამოშვებით რომ წყდებოდნენ საყვინთ აპარატს და ზედაპირზე შეუმჩნევლად ამოცურდებოდნენ ხოლმე.

მყვინთავების წასვლის შემდეგ დრო უჩვეულოდ ზანტად მიდიოდა. მზე ჩასვლაზე იყო, დღე მალე მიიწურებოდა და ბელორუკოვს იმაზე ფიქრიც კი არ უნდოდა, რომ მყვინთავებს დღის სინათლე არ ეყოფოდათ, სიბნელეში შეიძლება გზა აბნეოდათ და დაღუპულიყვნენ. მაგრამ აზრები შავი ყორნებივით დასტრიალებდნენ თავს და მოსვენებას უკარგავდნენ.

„ფერია“ ფსკერზე იჯდა, მაგრამ შეეძლო ზღვაზე შექმნილი ვითარებისთვის თვალყური ედევნებინა. თუ პერისკოპს მთლიანად ასწევდი, მისი ზედა წვერო წყლის ზედაპირზე აღ-

მოჩნდებოდა და, თუმცა დიდი გაჭირვებით, მაგრამ მაინც შეიძლებოდა ნავში „ხაფანგის“ დანახვა. იგი ყველავ დრეიფზე იდგა და, გეგონებოდათ, თევზობაზო მოცდა ბადით, რომელსაც ხან აკრეფდნენ კარკაპაზე, ხან ისევ ზღვაში უშვებდნენ. დრო გადიოდა. არაფერი არ იცვლებოდა და ყველაფერი ისევ ისე ერთფეროვნად გრძელდებოდა.

— 356 გრადუსის პელენგზე ხრახნების ხმაური! — მოისმა ბიფროაკუტიკურ ჭრილში.

ბელორუკო

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნებას გაძლევთ, თქვენ ეს დაიმსახურეთ, — მაშინვე მიუგო უფროსმა, ისე რომ დოკუმენტებისათვის თვალი არ მოუცილებია. — ოღონდ ბომბები შეგიშლიან ხელს დაძინებაში...

— ყურსაც არ ვათხოვებთ, ამხანაგო უფროსო! მამა მასწავლიდა: არასოდეს არ უსმინო იმას, რაც მოხასმენი არ არისო...

მაგრამ ბენო ჭითანავას დიდხანს მაინც არ მოუწია ძილმა. ის იყო ჩასთვლიმა, რომ საბრძოლო განგაშის ხმამ გამოაფხიზლა...

ცენტრალურ საგუშაგოზე რომ მივიდა, აუხსნეს, უფროსმა ტორპედებით მტრის მონადირის განადგურება განიზრახაო. ჩანს, ფაშისტებმა საკუთარ, ჩაძირულ კარჭაპს მოახვედრეს: ზედაპირზე მისი ნამუსრევი რომ ნახეს, საბჭოთა წყალქვეშა ნავის ნაწილებად ჩათვალეს და შეჩერდნენ, რათა გამარჯვების ნივთიერი საბუთი კატერზე აეტანათ. ბელორუკოვმა სწორედ ეს ხელსაყრელი მომენტი გამოიყენა იერიშისათვის.

მსუბუქი ბიძგი იმის ნიშანი იყო, რომ ტორპედოების ჯერი უკვე გაიგზავნა. ნახევარ წუთში ძლიერი აფეთქების ხმაც გაისმა.

ფაშისტების მორიგი გემი შავი ზღვის ფსკერზე გაიგზავნა...

— სულითა და გულით გილოცავთ, ამხანაგებო, საგანგებო დავალების შესრულებაში ბრწყინვალე გამარჯვებას! — უფროსმა ჯერ ჭითანავას ჩამოართვა ხელი, მერე ორლოვს, როგორც კი მისცეს შესვენების ნიშანი განგაშის შემდეგ. — ეს გმირობაა!

— ვემსახურებით საბჭოთა კავშირს! — ერთხმად უპასუხეს წყალქვეშელებმა.

ᲐᲛᲘᲡᲬᲘᲜᲓᲔᲚᲘ

ᲣᲤᲠᲝᲡᲘ

ᲔᲫᲐ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ

როცა თვალს ახელს აპრილის დილა,
აისის ხილვა სოფელს ალაღებს,
და მხიარული „დილაოდილა“
აღვიძებს ბაღებს და იალაღებს.

მაღლით, ღრუბელი მთას შეჰყოლია,
შხაპუნა წვიმა წამოვა მალე,
მიმოიხედავ, — მწვანე მოლია
და ოჯალეში ნამნაპკურალი.

მოედინება ხალხი — მშრომელი,
მიწა მშობელი გრძნობს ერთგულებას
და ლაჯანური, დაუდგრომელი,
ედუდუნება დედა ბუნებას.

გადაუშლიათ ვარდებს კოკრები,
ამწვანებულა კორდი და ველი;
გაზაფხულია, ჟამი ოცნების,
და გული ათას სიხარულს ელის.

მზია ბურჯალიანი,
ცაგერის რაიონის ორბელის საშუალო
სკოლის VIII კლასის მოსწავლე.

რეპროდუქციები ნორჩ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲘᲡ ᲔᲥᲡᲞᲝᲜᲐᲢᲔᲑᲘᲡᲐ.

ᲬᲙᲠᲘᲐᲚᲔ, ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲖᲐᲠᲝ!

დამიძახე, სკოლის პაწაწინა ზარო,
დამიძახე!
შენს ძახილში მე ცხოვრება სულ სხვაგვარად დავინახე
სწავლის, სიბრძნის და ცხოვრების განთიადო,
შენებურად სიყვარულით დამიძახე!
მოვიჩქარი... საყვარელო ჩემო სკოლავ,
მე შენს პირველ დაძახებას დავასწარი...
რა სითბოა შენს კედლებში, რა სიტკბოა,
განა არის განცდა ამის დასადარი?!
რა კარგი ხარ, ჩემი სკოლის ტკბილო ზარო,
მეგობრულად, სიხარულით, გესალმები.
დე ცხოვრების ცისფერ გზაზე,
სულ მესმოდეს შენი ხმები,
დე, არასდროს, არასდროს არ გაიბზარო!
იწკრიალე, იწკრიალე, სკოლის ზარო!

თემურ ნუცუბიძე,
სამტრედიის რაიონის დიდი ჯიხაიშის
საშ. სკოლის IX კლასის მოსწავლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბედნიერების ეძებნელი

მალხაზ კაციტაძე,
ორჯონიკიძის რაიონის მარელისის ფაბრიკის 8-წლიანი სკოლის VI კლასის მოსწავლე.

სწავლაზე გულაცრუებული სამი ბიჭი ერთმანეთს შეხვდა და საუბარი გამართეს, ამ დროს მათ შემოხვდათ თეთრწვერა მოხუცი და ჰკითხა: „რას აკეთებთ აქ შვილებოო?“, ბიჭებმა უპასუხეს, ვისვენებთო. მოხუცმა უთხრა, ჯერ ბედნიერება მოიპოვეთ და მერე უფრო კარგად დაისვენებთო. ეს უთხრა და გზა განაგრძო.

ბიჭებს მოეწონათ მოხუცის ნათქვამი და გადაწყვიტეს ერთად წასულიყვნენ ბედნიერების საძებნელად. ბევრი იარეს თუ ცოტა, მიადგნენ ერთ გუბელას და ჰკითხეს: ხომ ვერ მიგვასწავლი გზას ბედნიერებისაკენო. გუბელამ უპასუხა: მე ერთ ადგილზე ვდგავარ, ქვეყნის არაფერი გამეგება აგერ ზემოთ მამაჩემს ჰკითხეო. ბიჭებმა გზა განაგრძეს, მიადგნენ ერთ მდინარეს და ჰკითხეს: ხომ ვერ მიგვასწავლი გზას ბედნიერებისაკენო? მდინარემ უპასუხა, მართალია, მე დიდ გზაზე მივდივარ, უბედურების მნახველიც ბევრის ვარ და ბედნიერებისაც, მაგრამ არცერთისაკენ მიმავალი გზა არ ვიცი.

ბიჭებმა ახლა ბუჩქზე შემომჯდარ მგალობელ ბულბულს ჰკითხეს, ბედნიერებისაკენ მიმავალი გზა. ბულბულმა ყურადაც არ იღო ბიჭების კითხვა და სტვენას უმატა.

ბიჭებმა იარეს, იარეს და მიადგნენ ერთ ქოხს, ამ ქოხში ბრძენი ცხოვრობდა. ბრძენმა ბიჭებს ყველაფერი გამოჰკითხა, სად ყოფილხართ, საიდან მოდიხართო. ბიჭებმა უპასუხეს, — სკოლიდანაო. მაშინ ბრძენმა უპასუხა: ბედნიერება სწორედ იქ არის, საიდანაც თქვენ წამოსულხართო.

ბიჭებს გაუკვირდათ, გაეხარდათ და სკოლისაკენ მოჰკურცხლეს.

აისია, აისია
ვენახებში, ბაღში, ტყეში
და იცრება დილის სხივი
ტყის დანამულ ხშირ ფოთლებში.
ნელი სიო მონარნარე,
ვაზის ნაზად შეთვალება,
ვარდ-ყვავილებს დილის ცვარი
საყურედ რომ ეტანება...
ჩიტუნები, ჩიტუნები...
ნაკადული მოჩხრიალე...
შემკრთალი და დარცხვენილი
შერჩენია ზეცას მთვარე.
არ იშურებს ოქროს სხივებს
მზე ლაღი და მოცინარი,
აჭრიალდა კუტკალია,
როგორც ჭაზე ოწინარი.
მოჩუხჩუხე წყაროს თავზე
მწყობრი შვენით მაღალ ალვებს,
ყაყაჩო კი ჭალაკებში
აშრიალებს წითელ ალმებს.

ეკალის სოფელში

მაღლა მზეა თაკარა
და ციხე იდუმალი,
ძირს—ჩიხურა ანკარა,
გზა—ცეცხლივით მხურვალი.
ავივაკეთ. აქ ისევ
ჭალაკია დაბალი.
აი, სახლი ჭაღარა
და აკაკის აკვანი.
თითქოს მესმის ჩურჩული
მოდინახის კედლების,
ცაში გამოკიდული
ზღაპარს ყვება ეგების.
მომელანდა მგოსანი,
თითქოს ცხადლივ მესიზმრა,
შავქვას როგორ იყრიდა
ჯიბეებში პეშვითა.
ცა-ფირუზო ქვეყანავ
და ზურმუხტო მიწავ,
მეც ძლიერ მეყვარებით,
აკაკის ლანდს ვფიცავ!

კობა ბუმბურიძე,
თბილისის 117-ე საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სვანეთი.

ო. ბერიანიძე,
თბილისის 64-ე საშ. სკოლის VIII კლასის მოსწავლე

ჯილო

დილაა, სიცოცხლის ამბორმა,
სინათლემ სიბნელე დათენთა.
ჩიტები ჟღურტულით ამბობენ:
გათენდა, გათენდა, გათენდა!

ხარჯიხვმა ჭიუხი დალახა,
ფრთა შეჰკრეს არწივის მართვეთა,
არწივმა სალ კლდეებს გასძახა:
გათენდა, გათენდა, გათენდა!

მზე მაღალ მთების თავს ასცილდა,
მთებს იქით ღამეს რომ ათევდა,
მზის ოქრო იმედად აწვიმდა:
გათენდა, გათენდა, გათენდა!

ავთანდილ არაბული,
ყაზბეგის რაიონი,
სოფელი ჯუთა.
VIII კლასის მოსწავლე.

ჯიდაკ ეძებენ ჭვიანელ

ავსტრალიასა და სამხრეთ ამერიკას შორის მრავალი პატარ-პატარა კუნძული მდებარეობს. ბევრ მათგანზე ხარობს ქოქოსის ხეები, ბანანი, წაბლი... კუნძულების ჯუნგლებში ნაირ-ნაირი ფერის უამრავი ფრინველია. სამხრეთ ოკეანეში ათასგვარი სახის თევზებთან ერთად, ნამდვილი ზღვის ყაჩაღები — ზვიგენებიც ბინადრობენ.

ამ კუნძულებზე ოდითგანვე ცხოვრობენ პოლინეზიელები. ისინი ყოველდღე ცურავენ პატარა კანოებით, რომლებსაც უზარმაზარი ტალღები თხილის ნაჭუჭივით აცეკვებს. ყველაზე მამაც მეთევზეს, მონადირეს, ნავების საუკეთესო ოსტატს იქ ყველა დიდი პატივისცემით ეპყრობა. ამიტომ თვითეული პოლინეზიელი ბიჭის, თვითეული მამაკაცის ოცნებაა გულადობითა და ღონით ყველას აჯობოს.

ერთ-ერთ კუნძულზე მრავალი, მრავალი წლის წინათ ორი ბიჭი ცხოვრობდა: არე და ჰორე. ისინი კარგი ამხანაგები იყვნენ და ყოველთვის ერთად თამაშობდნენ. მათ „განუყრელებს“ ეძახდნენ. არე და ჰორე ხშირად ეხმარებოდნენ უფროსებს კანოების გაკეთებაში, სათევზაო ბადეების დაწვნაში. ორივეს ჰქონდა მაგარი ძვლისაგან დამზადებული დანა.

კუნძულზე, წელიწადში ერთხელ, თეთრკანიანი კაცი მოდიოდა. ჰორეს მამას მისთვის ზღვის ფსკერიდან ამოტანილი მარგალიტები უნდა მიეცა. ამ ძნელმა სამუშაომ ჰორეს მამა შეიწირა — იგი ზვიგენმა დაგლიჯა.

ერთ დღეს ჰორემ არეს უთხრა: „მალე დედაჩემი მამის სანადირო დანას მომცემს. მაშინ მე ყველაზე ძლიერი ვიქნები“.

არე გულში დაღონდა, რადგან მას ასეთი კარგი დანა არა ჰქონდა. ჰორემ იგრძნო მეგობრის წუხილი და უთხრა: „როდესაც გაიზრდები, შენც გექნება ასეთი დანა. მანამდე კი მამაჩემისეული დანა ორივესი იქნება“.

ბიჭები მხიარულად ჩახტნენ ნავში და უბისაკენ გასცურეს. ბავშვებს ნებას აძლევდნენ ამ უბეში ეცურათ და ეთევზავნათ, ოღონდ, შორს არ უნდა წასულიყვნენ: უბის სიღრმეში მარჯნის რიფები იყო და ზვიგენებიც დათარეშობდნენ.

ჰორე და არე ბიჭებში ყველაზე მამაცნი იყვნენ და, აკრძალვის მიუხედავად, ბიჭები ხანდახან საშიშ მარჯნის რიფებამდე მიცურდებოდნენ ხოლმე.

. . .

და აი, დადგა საშინელი დღე. ჰორე კანოეში იჯდა, არე მის გარშემო ცურავდა და ის იყო, ნავში ამოსვლა დააპირა, რომ, უცებ ჰორემ უშველებელი ზვიგენის ზურგი შეამჩნია.

იმავე წამს არე გაქრა: ზვიგენმა მას ფეხში ჩაავლო პირი და ზღვის სიღრმეში ჩაითრია.

საღამო ჟამს მეთევზეები თავიანთი ნავებით შინ ბრუნდებოდნენ. მათ საოცარი რამ დაინახეს: ტალღებზე რიფების ახლოს, პატარა კანოე ტივტივებდა. კანოეში ბიჭი იდგა და რაღაცას ყვიროდა. ახლოს რომ მიცურდნენ, მეთევზეებმა ჰორე იცნეს. იქვე დიდი ზვიგენიც შენიშნეს, იგი კანოეს ირგვლივ დაცურავდა.

მეთევზეებმა ჰორე მკლავებზე გადაიწვინეს და დედამისს მიუყვანეს. ჰორეს დიდი სიცხე ჰქონდა.

ჰორე კარგა ხანს იყო ავად. გამოჯანმრთელების შემდეგ კი ერთთავად დუმდა. ამხანაგებთან არ თამაშობდა და ხშირად თავის თავს ელაპარაკებოდა. ხალხი შიშით ჰყვებოდა: ის დიდი ზვიგენი იმ საბედისწერო ადგილას მრავალი კვირის შემდეგაც წრეებს არტყამდაო.

„არე მეძახის! — უთხრა ერთხელ ჰორემ დედას. — მისი შური უნდა ვიძიო“.



ზღვაზე

ჯ. ოქროპირიძე,
თბილისის 1-ლი საშუალო
სკოლის VII კლასის მოსწავლე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გოგონა.

მკა.

ებიკოსთან წავალ

დედა დაჯდა დილით,
საღამომდე კერა
და ლამაზი ნაჭერი
კაბად შემიკერა.

დამიძახა — ჩაიცვი!
გადავიცვი სწრაფად,
ამ ახალი კაბით
ებებიკოსთან წავალ.

ასმათ აბაშიძე,
საჩხერის რაიონის სოფელ
ჭალის საშუალო სკოლის
III კლასის მოსწავლე.

„ერთადერთი ვაჟი ხარ ჩემი, თანაც, ჯერ კიდევ პატარა ხარ", — უპასუხა დედამ, მაგრამ შენიშნა, რომ ჰორე მარჯნის რიფებისაკენ იყურებოდა და მის ნათქვამს არ ისმენდა. და, როდესაც ჰორემ სთხოვა, მამაჩემის სანადირო დანა მომეციო, დედამ მისცა დანა.

ჰორემ ღამითვე მოამზადა თავისი კანოე და დილაადრიან რიფებისაკენ გასცურა.

„მოდი! — დაიყვირა ჰორემ, — მე შენი არ მეშინია!" მაგრამ ზვიგენი დიდხანს არა ჩნდებოდა. უცებ, ჰორეს გული გამალებით აუძგერდა: მან ზვიგენი დაინახა; პირველად მხოლოდ ზურგი გამოჩნდა, შემდეგ — გრძელი თავი, საშინელი ხახა, წვეტიანი, ალმასა კბილები.

მამაცმა ბიჭმა დანა უფრო მაგრა ჩაბღუჯა.

„არე!" — დაიყვირა ჰორემ და წყალში ჩახტა. ზვიგენი მას კუდის ქნევით მიუახლოვდა. ჰორემ ჩაყვინთა, ზვიგენს ქვევიდან მოექცა და გრძელი, ბასრი დანა მუცელში ჩასცა. წყალი მთლად გაწითლდა. ზვიგენი აფართხალდა და ჰორეს ხელზე კუდი გაჰკრა. ჰორემ საშინელი ტკივილი იგრძნო და ამოყვინთა, ნავთან მიცურდა და საღი ხელის დახმარებით შიგ ჩაძვრა. ზვიგენი სიკვდილს ებრძოდა. მოძრაობაზე ეტყობოდა, სულს ღაფავდა, ბოლოს გულაღმა ამოტრიალდა. საშინელი ზვიგენი მკვდარი იყო.

ჰორე დამშვიდდა და ამაყად გადახედა ოკეანეს, მან მეგობრის შური იძია.

გერმანულიდან თარგმნა
შალვა მელუხამ.
თბილისის 1-ლი საშუალო
სკოლის VIII კლასის მოსწავლე.

ნაძვები.

10956

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუსიკა **რუსუდან ურუშაძისა.**
ქ. ფოთის პირველი საშ. სკოლა.

ლექსი **ალექო შენგელიასი**

ჭეჭელა

ჩემი ლამაზი პეპელა
დამიფრთხო ფისუნიამა,
მოსწყდა ყვავილებს, უმალვე
შორს გაიტაცა ნიავმა.

გაფრინდა, აღარ მოფრინდა,
ნეტავ ვიცოდე, სად არის,
ვეძებე, ვერსად ვიპოვე
პეპელა მისი სადარი.



ცხენი.
მ. კალაგაშვილი,
თბილისის I-ლი საშ. სკოლის V კლასის მოსწავლე

დილა
ვ. ჩუგინიძე,
ზესტაფონის რკინიგზის საშ. სკოლის III კლასის მოსწავლე.

ლაჭარი

ბუხარი ზღაპარს მიამბობს,
ბებია მოითბობს თითებს...
...„მამალმა შესძრა ქვეყანა:
— ყიყლიყოო! გაიღვიძეთ!..
დღესა და ღამეს ჩხუბი აქვთ
ამ ქვეყნად მეფობაზედა...
სისხლი დაღვარეს ულევი,
ადექით, დააზავეთა!
ჰოდა, დღეს, როცა იმ სისხლით
აისი წითლად ღვივისო,
მამალი ყველას ადვიძებს;
ზუსტად იმ დროზე ჰყივისო...“
...ბუხართან კრუტუნებს კატა
ბებიას ზღაპრით რომ დათვრა.

ემოდგომა

შემოდგომამ ოქროს კალთა
დააბერტყა ზვრებს და ყანებს;
ხვავი ავსებს გოდრებს, ურმებს,
პირდაღებულ ბეღელს, მარნებს..
ოქროსფერი ჩაეპარა
წითელლოყა ვაშლის ბაღებს,
თეთრქუდიან მთის მწვერვალებს
მზის სხვები აფერადებს.
მხიარული ხმები ჰშვენის
წითელქუდა ოდა-სახლებს.
საქორწილო დღეებია:
— შეეგებეთ, ჩქარა, მაყრებს!..
მაჭრით სავსე მთვრალი ქვევრი
„ოროველას“ შემოსძახებს
და ქართველი გლეხიკაცი
მზისკენ ასწევს ჯიხვის ყანწებს..

ვირი

სულ რომ ჩქარობ,
სულ რომ ანჩხლობ,
მუდამ ჩხუბს რომ აპირებ,
იმერეთის მთებს რომ ებრძვი,
ყვირილავ რა გაყვირებს?..
აღარ იშლი „ძველ ბიჭობას“?
(თანაც რომ არ დაბერდი!)
ყვირილით გსურს ფალავნობა?
აი, შენ კი გათეთრდი!..

ნათელა სალაძე,
ზესტაფონის რაიონის დიდიკაურის საშ. სკოლის VIII კლასის მოსწავლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანეუჭაკი ია ჯოხი

ქარლო ქობერიძე

ჩვენს აივანზე, ახლა ოჯალი ხარაზი რომ ცხოვრობს, იმ ოთახში ადრე სხვა კაცი ცხოვრობდა. ცნობით ყველა ვიცნობდით, ოღონდ სხვადასხვანაირად:

კაცები: „ჭადრაკში ვერავინ უგებს“.

ქალები: „ორმოცზე მეტისა ხომ იქნება? იქნება. ჰოდა, აღარ ედროვება, დაოჯახდეს?!“.

უცხო ხალხი, განსაკუთრებით, ივლისის ბოლოს:

„უკაცრავად, გიორგი აქ ცხოვრობს?“

ვინმე, აივნიდან: „ვინ გიორგი?“

„მეცნიერი, გეოლოგი“.

„დასასვენებლად წავიდა, მაგრამ ვერ გეტყვით, საით“.

ჩვენ, გოგო-ბიჭები: „რას ამბობ. იადონი ის იყო, ერთხელ ძია გიორგის რომ ჰყავდა!“

„რომელი, კატამ რომ შეუსანსლა?“

„არა, ვიღაცას რომ აჩუქა“...

ძია გიორგის ოთახში ჩიტების გაუთავებელი სტვენა-ჭიკჭიკი იდგა. იქაურობა გალიებით იყო სავსე: იადონიო, ჩიტ-ბატონაო, მესკიაო, წივწივაო, ხუჭუჭა თუთიყუშიო... მაგრამ ისეთი დღეებიც მახსოვს. ცარიელი გალიებიც რომ დამინახავს. საკმარისი იყო, ვინმეს ეთქვა, ეს რა მშვენიერი ჩიტია, რა საყვარლად გალობსო და, ვერავითარი უარი ვეღარ უშველიდა — საჩუქრად უნდა მიეღო. ასეთი რამ, რა თქმა უნდა, მხოლოდ სტუმრებზე ითქმის, თორემ ჩვენ, რაკი მისი ხასიათი ვიცოდით, ასე, საუხერხულოდ როგორ მოვატრიალებდით ენას.

სამსახურიდან დაბრუნდებოდა ძია გიორგი და მაშინვე ჩიტებს დააპურებდა ხოლმე. მერე გამოვიდოდა აივანზე, გადმოდგებოდა — ამას იმას ეტყოდა, იმას — ამას, ხანდახან ორიოდე პარტია ჭადრაკს ეთამაშებოდა ვინმეს, ჩვენც გამოგველაპარაკებოდა სწავლის თაობაზე და ისევ ოთახში შებრუნდებოდა. ოთახში რომ შევიდოდა, უცებ დაწყნარდებოდა ჩვენი ხმაურიანი ეზო — ძია გიორგი მუშაობსო, ყველანი ფეხის წვერებზე დავდიოდით იმსიგრძე აივანზე. ახლა ხმაური მხოლოდ მისი ოთახიდან მოისმოდა — ჩიტების ჟღურტული. პირდაპირ ყურში ჩასძახოდნენ და სწორედ ეს გვიკვირდა, ჩვენი ხმაური თუ ხელს უშლის, ისინი აღარ უშლიანო?

— ძია გიორგი, — ვკითხე ერთხელ, — ამ ჩიტებზე მეტს არც ჩვენა ვხმაურობთ, მუშაობაში ხელს არ გიშლიან?

— ჩიტები?

— ჰო, ჩიტები.

— პირიქით: თუ მაგათი ჭიკჭიკი არ მესმის, ვერ ვმუშაობ.

მხრები ავიჩეჩე.

— არა გჯერა? — ღიმილით მკითხა.

— რა ვიცი.

— მიჩვევაა ყველაფერი... ღმერთმა ნუ გამაძლებინოს უიადონოდ!

— ჰოო!

— ასეა, მეზობელო...

ერთ დღეს, შემოდგომის პირზე, ერთი იადონი მოიყვანა გალიით. მაჩუქესო, ერთხელ მეც მაჩუქესო ისეთი ცქვიტი იყო ის იადონი, სულ დახტოდა. ფეხებს თუ გააჩერებდა, თავს აღარ აჩერებდა, თანაც გალობდა და გალობდა.

გალია აკვარიუმის გვერდით დადგა და მითხრა:

— მოუსმინე როგორ ამღერდება!

გეგონება, მისი ნათქვამი გაიგო, მაშინვე გალობად იქცა და გაივსო ოთახი ფოთლების შრიალით, წყაროს რაკრაკითა და ტყის სურნელებით. ჩამოიქროლებდა ნიავი და მინდორში აშრიალებდა ლაქაშებს; დამფრთხალი ნუკრი წვრილიანში მიშლიგინობდა; მხიარულმა ბელებმა იმდენხანს იჭიდავეს, ვიდრე ხრამში არ ჩაცვივდნენ; ჩხიკვებს ერთი გნიასი გაჰქონდათ; მაყვლის ბარდში განაბული შაშვი ირმის ფაჩუნზე ჭახჭახით ამოფრთხიალდა და შავ წერტილად შევარდა მწვანე ხეებში. მაყალოს გულყვითელები შესევიან წივწივით: დაჭიანებულ ხეზე

კოდალა ჰკიდია თავდაყირა, წამოფრინდება, ქანაობით მიჰყვება ღელის ნაპირს; ფრთებს რომ დაიქნევს, ისე ჩანს, თითქოს შემოდგომის წიფლის წითელი ფოთლები გაიყოლაო; ტყიანი გორიდან მწყემსი ბიჭის ძახილი ისმის და ხმაურიანი ტყეც უცებ ყუჩდება...

ძია გიორგი ფიქრშია წასული. არ ვიცი, რას ფიქრობს, მაგრამ ვხედავ, ფიქრიან სახეს ხანდახან ძალიან თბილი ღიმილი გამოერევა ხოლმე.

— უცებ, იადონი გაჩუმდა.

ძია გიორგიმ თავი ასწია.

— რატომ გაჩუმდა? — ვეკითხები.

ის კი ისევ იადონს უყურებს. იადონი ისედაც პატარა იყო და ახლა სულ დაილია: გალიის კუნჭულს მიეკრა და გაირინდა.

ძია გიორგი ღიმილით წამოდგა და პიანინოს თავზე დადგმული მიმინოს ფიტული ყვავილების ვაზას მოაფარა:

— ამ მიმინომ შეაშინა. — სიცილითა თქვა.

— ვერ უყურებ?!

— აბა!..

სხვა დროსაც მოიყვანა ძია გიორგიმ ასეთი იადონი, მაგრამ, რატომღაც, მალე გააჩუქა, მგონი დღეც არა ჰყოლია თავისთან.

ძია გიორგისთან სტუმრები ხშირად დადიოდნენ, განსაკუთრებით — კვირა დღეს, შუადღის შემდეგ. მოვიდოდნენ კაცები, დინჯი კაცები დინჯად ამოივლიდნენ კიბეს, თავის დაკვრით მოგვესალმებოდნენ და შევიდოდნენ ძია გიორგისთან. ვიდრე ძია გიორგი ყავას მოადუღებდა და მაგიდას გააწყობდა, წყნარად საუბრობდნენ, აუღელვებლად, მერე კი უცებ გაცხარდებოდნენ და ისეთი ხმაური გამოდიოდა ოთახიდან, აივანი რა სათქმელია, ეზოშიც გარკვევით ისმოდა. ჩემთვის გაუგებარ რაღაცებზე კამათობდნენ, მათი კამათიდან აზრი ვერ გამომქონდა და მეგონა, ეს კამათი, მათთვისაც უაზრო იყო. ჰოდა, ერთ ასეთ კვირა დღეს ძია გიორგიმ აიღო გალია (იმ გალიაში იადონი იჯდა) და ორი სტუმრიდან ერთს — უფრო ახალგაზრდას მიაწოდა:

— შენა გქონდეს.

— მერე, მე რომ ჩიტების თაყვანისმცემელი არა ვარ?

— მაშინ აჩუქე ვინმეს.

— კარგი, თუ ასე გსურთ...

სტუმრები რომ წავიდნენ, ძია გიორგის ვკითხე:

— რატომ გაატანეთ ძალად?!

— არ მომწონდა ის იადონი.

— რატომ?

— ქურდი იყო.

ასე არაფერი გამკვირვებია: გალიაში გამომწყვდეულ, ერთი ციცქნა იადონს ისეთი რა უნდა მოეპარა, რომ გაჯავრებულიყო ძია გიორგი.

— ქურდი იყო, აშკარა ქურდი, მე კი ქურდებისა არაფერი მწამს!.. — იცინოდა.

— რა მოიპარა?

— რასაც ყური მოჰკრა, ყველა ჭელოდია გადაიღო. მართალია, თავისებურად, ასე ვთქვათ, გადაამუშავებდა ხოლმე, მაგრამ მე რას გამომპარებდა! ჩიტიც კი არ მიყვარს ქურდი... რად მინდა ქურდი იადონი!.. აი, რატომ გავატანე.

— ახლა კი მივხვდი.

— კარგია...

ძია გიორგი ხშირად დადიოდა მივლინებაში — ეს მოსკოვიო, ეს ლენინგრადიო... საზღვარგარეთაც ხშირად ყოფილა. არ მახსოვს უჩემოდ წასულიყო სადმე. ცოტა ხნით მიდიოდა, თუ დიდი ხნით ბინის გასაღებს მე მიტოვებდა, აბა, შენ იცი, ამ ჩიტებს როგორ მიმიხედავ. თან დამარიგებდა, ამ დროს ეს აჭამე, იმ დროს — ისაო.

ზამთრის ერთ საღამოს ძია გიორგი შინ არ დაბრუნებულა. ასეთი რამ თითქმის არასოდეს მომხდარა. შეწრიალდა მთელი ეზო. თქვეს, ალბათ რაიმე სასწრაფო საქმე ექნებოდაო, მაგრამ მეორე დღესაც რომ არ გამოჩნდა, მაშინ კი დაიწყო ერთი აურზაური. ჯერ ძია გიორგის ნათესავებს დაურეკეს, მერე — სამსახურში, მაგრამ არავინ არაფერი იცოდა. ტელეფონით მოგვარებული საქმე სად გაგონილაო, თქვა მამაჩემმა, ტაქსი დაიჭირა და ძია გიორგის სამსახურში წავიდა.

ქარიანი დღე იყო. შუადღისას ჩამობარდნა კიდეც და ქარიც გაძლიერდა. ძია გიორგის ფანჯრები ჩაუკეტავი დარჩენოდა და ქარს შემოეგლიჯა.

— რაღას უყურებ, — მითხრა დედამ, — გადადი ოთახში, ქუჩის ფანჯარა მაინც ჩაკეტე.

ფანჯრიდან შევედი ოთახში და დავინახე — იატაკი ქაღალდებით იყო მოფენილი. ქარს ლარნაკი გადმოეგდო მაგიდიდან და იქაურობა ნამტვრევებით გაევსო. მიმინოს ფიტულიც დაბლა ეგდო, იადონის გალია საწოლის თავს დასცემოდა და მიბრეც-მობრეცილიყო. იადონი აღარ იჯდა გალიაში. ძებნა დავუწყე. ვეძებ, ვეძებ და მაგიდის ქვეშ ვიპოვნე — სიცივით კანკალებდა. ხელი რომ წავატანე, შეიფრთხიალა, ფანჯარას ეცა და გარეთ გავარდა. თითქოს ამას ელოდაო, ქარი თითქმის ჩადგა, თოვით კი ისევ თოვდა.

მეზობლებმა იადონი რომ დაინახეს, შეიცხადეს, მაგას რაღა დაიჭერსო.

ჭრელ წერტილად მოჩანდა ფიფქებში გასრიალებული იადონი, ისე ლაღად ფრენდა, თითქოს წეღან არც ეკანკალოს სიცივით. შიშველი ხეების ტოტებში შევარდებოდა, დატრიალდებოდა, წაუსტვენდა და ისევ ცას შეასკდებოდა. მაღლიდან დაეშვებოდა, მიწის პირ-პირს გაიფრენდა და ცაში შეინავარდებდა ისევ. ხის ტოტებზე მობუზული ბეღურები თვალს აყოლებდნენ — ასე მეგონა, აოცებდათ მათთვის უცხო, გალაღებული ჩიტის დანახვა.

კარგა ხანს დაფრინავდა იადონი. შიშველ, თოვლით ჩამოფიფქულ ხეებს თავზე მოექცა, რამდენიმე წრე მოხაზა და მერე საბუხრის თავზე ირწეოდა, ჰაერში გაჩერებას ლამობდა. საბუხრიდან შავი კვამლი ამოდიოდა. იმ კვამლში დაიწყო ფრთების კანკალი. შემდეგ ისევ აივნისკენ ჩამოიშრიალა. თოვლიან მყუდროებაში მხოლოდ მისი ფრთების მკვეთრი ხმაური ისმოდა დროდადრო.

საგონებელში ჩავვარდით — როგორ დაგვეჭირა. სულ რომ გადაგვეწურა იმედი, თავისით არ შემოფრინდა ოთახში?! შემოფრინდა და გალიაზე დაჯდა. ფანჯრის დახურვა ვერ მოვიფიქრე, დასაჭერად წავატანე ხელი და... ისევ გარეთ გაფრინდა. ჩემს თავზე მომივიდა ჯავრი, რატომ ფანჯრის დახურვა არ გამახსენდა-მეთქი.

ეზოში მანქანა შემოგრიალდა. მანქანიდან მამაჩემი და ძია გიორგი გადმოვიდნენ.

— სად იყავი, კაცო, რა დღეში ჩაგვაგდე! — ძია გიორგის აივნიდან გადასძახა დედაჩემმა.

— სოფლიდან ჩამოსული ნათესავი გამიხდა ავად, საავადმყოფოში დავაწვინე და, როგორ გითხრა, სასთუმლიდან ვეღარ მოვშორდი.

— დაგერეკა მაინც!

— ეგღა მახსოვდა!

ამოვიდა ძია გიორგი აივანზე და მაშინვე იადონი იკითხა. აგერ შენი იადონი-მეთქი, ხელი გავიშვირე ცისკენ. ძია გიორგიმ გახედა იადონს და გაიღიმა:

— მშვენიერი იადონია, ტყუილად არ მიყვარდა!

იადონს თანდათან ძალა ელეოდა, თანდათან უჭირდა მაღლა-მაღლა ფრენა. ბოლოს ტოტზე დაჯდომა დააპირა, ფეხი ვერ მოიკიდა და თოვლზე დაეცა. მეგონა ისევ წამოფრინდებოდა, მაგრამ არც გატოკებულა. კიბე ჩავირბინე. იადონი გულდაღმა ეგდო თოვლში, თავი არც უჩანდა. აივნისკენ გავაპარე მზერა.

— ამოიყვანე! — ჩამომძახა ძია გიორგიმ.

ფრთხილად ავიყვანე, ხელისგულზე დავიდე და ნაბიჯის თვლით ავედი აივანზე.

ძია გიორგიმ გამომართვა მკვდარი იადონი, დიდხანს ათვალიერა. შემდეგ თავი სინანულით გაიქნია და თქვა:

— მშვენიერი იადონი იყო.

— ძალიან მენანება, — ჩავილაპარაკე.

— კარგი იადონი იყო, — გაიმეორა და შემომხედა, — მშვენიერი იადონი!..

სულ მალე ახალ ბინაში გადავიდა ძია გიორგი. ხუჭუჭა თუთიყუშიც იყიდა, წივწივაც... ერთი პირობა ფიქრობდა, იადონსაც ვიყიდიო... ბოლოს ხელი ჩაიქნია — გულმა არ უქნა.

ხშირად ვეწვეოდი ხოლმე. რაზე აღარ ვსაუბრობთ, რომელ ჩიტზე, მაგრამ იადონზე არასოდეს ჩამოგვიგდია სიტყვა და არასოდეს მიკითხავს, იადონი რატომ არ გყავთ-მეთქი.

მხატვარი
ოთარ ჩხარტიშვილი.

ᲔᲗᲘᲠ
ᲒᲐᲜᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲙᲐᲠᲢᲔᲥᲘᲡ

როგორც ხელოვნების ყველა დარგს, ჩაცმულობასაც თავისი ისტორია აქვს. არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი, ვეგანი პალეოლითის, ქვისადან დამზადებული ნივნები, ქინძისთავები და სხვა ნივთები მოგვითხრობენ, რომ ჯერ კიდევ მაშინდელ ადამიანს უზრუნველია თავისი სხეულის შესამოსად.

თუ პირველყოფილი ადამიანი სამოსად ცხოველის ტყავსა და მცენარის ფოთლებს ხმარობდა, შემდგომ პერიოდში მკერნარის ბოკკასა და ცხოველის ბეწვისაგან დამზადებული ქსოვილის სამოსს იყენებს (სელი, ბამბა, მატყლი და სხვა).

როცა საზოგადოება კლასებად დაიყო, ჩაცმულობამაც სახე იცვალა; ყოველი კლასის წარმომადგენელს თავისი დამახასიათებელი სამოსი ჰქონდა: მონას თავისი, ბელგის მსახურს — თავისი, ვანსხვავებულ სამოსს ატარებდა კაჭარი, ხელოსანი, მეომარი და ა. შ.

ადამიანმა რომ სხეული დაიფაროს, ამისათვის საკმარისია სრულიად უბრალო თარგის სამოსი, მაგრამ მთელი თავისი არსებობის მანძილზე, ადამიანი ცდილობდა და ცდილობს ტანსაცმელს მისცეს ნაირგვარი ელფერი, თარგი და მხატვრული სახე. ამან ჩაცმულობა გამოყენებითი ხელოვნების ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგად აქცია.

ჩაცმულობის ისტორიული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მასში აირეკლება კაცობრობის ამა თუ იმ დროისათვის დამახასიათებელი ყოფა-ცხოვრების წესი, მისი ეროვნული და მხატვრული კულტურა.

ჩაცმულობა ეითარდება საზოგადოების სხვადასხვა პერიოდის სოციალურ-ეკონომიურ ნიადაგზეც, ამტომ იგი მხატვრული გემოვნების შეცვლასთან ერთად იცვლება. ადამიანი ისწრაფვის თავისი ეპოქაში ნული ჩაცმულობით პარმონიული იყოს იმ დროსთან, რა დროშიც ის ცხოვრობს.

კოსტუმის შემადგენელ ნაწილებს: ტანისამოსს, თავსაბურს, ფეხსაცმელს, ხელთათმანს, სამკაულს ადამიანი იმ მასალისაგან ამზადებს, რომელიც დასამუშავებლად ხელშისაწვდომია მისი ეპოქისათვის. ამდენად, ქსოვილის წარმოების განვითარებას კოსტუმის განვითარების ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

XI, XII, XIII საუკუნეებისათვის დამახასიათებელია მაუდის ფარჩის ქსოვილები, XVI საუკუნისათვის — ბავეული და ფარჩა, XVII საუკუნისათვის — ატლასისა და თხელი ბავეული ქსოვილი, VXIII საუკუნეში ხმარობენ რიფსს და სხვა თხელ ქსოვილს, XIX საუკუნეში — გამქვარვალე თხელ ქსოვილებს XX საუკუნის დასაწყისში ხმარებაში შემოვიდა — შიფონი, კრეპშეინი, ბოდი... დღესდღეობით გამოიყენება — კაპრონი, ლავსანი და სხვა სინთეტური ქსოვილები.

კოსტუმის ფორმა დასაცვლელ ეცვლებოდა, რომ დასაცვლელ ეცვიპის ჩაცმულობის განვითარებას გარკვეული დაღი დაატყო ძველი ეგვიპტისა და საბერძნეთ-რომის (ანტიკური პერიოდის) ხალხთა ჩაცმულობამ. მათი კოსტუმის თარგი კარგად, გამოკვეთილად აჩენდა ადამიანის სხეულის ნაკვთებს, რისთვისაც არიკვლენენ თხელ, რბილ, ნახევრად გამქვარვალე ქსოვილებს, შუასუფეულებში ადამიანის სქემიანობასა და ახოვნებაზე ეკლესია ბატონობდა. იგი ცდილობდა ადამიანი მოეშუჯატა ამქვეყნიური ცხოვრებიდან და არსებული, საიქიო ცხოვრების რწმენა შეექმნა. ამიტომ ამ დროის სამოსი, როგორც ქალს, ისე მამაკაცსა, ხასიათდება სწორი, თავისუფალი თარგის გრძელი კაბებით, მოსასხამებით და მთლიანად ფარავს სხეულს; საამისოდ, სქელსა და ძირმე ქსოვილს იყენებდნენ.

აღორძინების პერიოდის (XV-XVI ს.ს.) დასაწყეთ ევროპის კოსტუმმა პირველ ხანებში შემოინარჩუნა შუასაუკუნეების თარგი, მაგრამ შემდგომი პერიოდის სამოსში ხაზი ესმება სხეულის მოყვანილობასს: ქალ ხმარობს კორსეტს,[1] იცვამს დეკოლტიან[2] კაბას, ხოლო მამაკაცი — მოკლე ზედატანსაცმელს და რეტუზს.

ახლოლტური მონარქიზმის აღორძინებისა და განდიდების პერიოდი (XVIII საუკუნე) ხელოვნებაში ბაროკოს სტილით[3] ხასიათდება: შემოდის შენობათა გაზვიადებული არქიტექტურული ფორმები და ფასადის გადაჭარბებული შემკობა დეკორატიული მოსართავებით. ფარეული ტილოებიდან საკანგებო პოზებში, ფუფუნებით აღსილი პიროვნებანი იცქირებიან, რომელთაც ხმარობენ ბინა და მოკრავული სამოსი აცვიათ.

ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი სილეტია: ქალისთვის — წელში გამოყვანილი, წინ დაგრძელებული ზედატანი, ქვევით ძალზე განიერი კაბა, ჯარბად მორთული საყელოთი და მაჯებით; მამაკაცისათვის — განიერი, პუხლუბამდე შარვალი, მოკარგული ხიფთანები, მორთული საყელო-მაჯებით. ეს სამოსი ბავრიული, ფარჩის, ატლასის ქსოვილისაგან იკერებოდა, მოსართავად კი ირმის იყენებდნენ.

ჩაცმულობის ისტორიაში XVIII საუკუნე იმითაც არის საყურადღებო, რომ ხმარებაში მოდების კულნალი შემოდის, რამაც ხელი შეუწყო მოდის სწრაფ გავრცელებას სხვადასხვა ქვეყანაში. ამ დროიდან საფრანგეთი მოდების კანონმდებელი გახდა. მოდები აქ ძალიან ხშირად იცვლებოდა, რაც გამოწვეული იყო იმდროინდელი საფრანგეთის ცხოვრების პოლიტიკური ბუნებით. არისტოკრატიული ფენა, საკმელობიდან, ეახლოდება ზენა სოციალური მონოკრატიულობა. სიტყვიერ, ხალ ძიძე; მისი ადგილი ფეოდალებმა, ხაზის გრაციოზულობამ დაიკავა. სილეტებს აძლევენს ძალზე ვიწრო, წელში გამოყვანილი ზედატანი და ძალზე განიერი, მავთულის კრინოლინზე დადებული მსუბუქად დანაოქებული და ვაშლილი ქვედატანი. კაბის შესაკერად იხმარება ხელოვნური, მსუბუქი მასალისაგან გაკეთებული ყვავილების ბორთლებები.

ამ დროის ბურჟუის კოსტუმი ოუმცაღა ინარჩუნებს ეპოქისათვის დამახასიათებელ სილეტებს, მაგრამ ბევრად გამარტივებული და სამხრად მოხერხებულია.

კაპიტალიზმის აყვავების პერიოდი (XIX საუკუნე და XX საუკუნის დასაწყისი) უამრავი პოლიტიკური და ისტორიული მოვლენებით, მეცნიერებისა და ტექნიკის სწრაფი განვითარებით ხასიათდება. ამ საუკუნეებში ევროპის სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიურ ნაოხთა ზეგავლენა ჩაცმულობის ეროვნულ ფორმა და ფერ ეემ-გავსება ერთიმეორეს. ქრება ჩაცმულობის ეროვნული განსხვავება. სამაგიეროდ, სწრაფად და ხშირად იცვლება მოდა. იგი უკვე მარტო ხელოვნების, კულტურისა და სოციოლოგიის შინაარსს კი არ გამოხატავს, არამედ, ამავე დროს, ტექნიკური სიახლისა და ახალი დარგების გავლენის ქვეშაც იქცევა. მაგალითად, ეიფელის კოშკის სილეტი გახდა ქალის სამოსის მოდა. მანამდე გაბატონებული კაბის მოდა — ოვალი გახდა. ამ ეპოქაში ეკონომიურ-ეროვნული ეკონომიკა ეროვნულ-ეროვნული ეკონომიკა ეროვნულ-ეროვნული ეკონომიკა ეროვნულ

XX საუკუნის დასაწყისის ჩაცვლილება. ევროპა.

ლური, ზარისებური, განიერი, წელში გამოყვანილი—შეიცვალა სწორი, დაბალ ოდნავ გაგანიერებული სილუეტით. ეელოსიპედის, აეტომობილის და სხვა ძრავიანი მანქანების ცხოვრებაში შემოსულმა გამოიწვია კოსტუმის სახეცვლილება. კრინოლინიანი კაბების ნაცვლად მოდაში შემოღებული იქნა სადა, სწორი ქვედა კაბები, დატრეულსაყელიანი და გრძელსახელოებიანი ზედაკანი.

ადამიანი ჩაცმულობას ყველა ეპოქაში თავის საქმიანობას უფარდებს.

იმისათვის, რომ სრული წარმოდგენა შეგვექმნას კოსტუმის განვითარების ეეოლუციაზე, პირველ რიგში საჭიროა ვიცოდეთ ცალკეული ქვეყნების საზოგადოებრივი ფორმაციის ისტორია, რაც „უშუალო კავშირშია ჩაცმულობასთან.

XX საუ. დასაწყისის ჩაცვლილება ევროპაა.

ეუაკაცობიან დასაწყისის რაინეის სოფ. ცოფდისაკარის საშ. საოლის მოსახლეს ლალი გოგოლაშვილს.

Zეკეკის სიზეკეკი?

პროფ. რევაზ ნათაძე.

სიზმარს ადამიანი მხოლოდ ძილის დროს ხედავს, როდესაც დაკარგული აქვს გარე სინამდვილის აღქმის უნარი. ღრმა, უსიზმრო ძილის დროს ადამიანი მარტო აღქმის უნარს კი არ არის მოკლებული, არამედ განცდის უნარსაც — იგი ვერაფერს ვერ გრძნობს, ვერაფერს ვერ აღიქვამს, ე. ი. მისი ფსიქიკური ცხოვრება წყდება. ამის მიზეზი ის არის, რომ დიდი ტვინის ქერქი — „ფსიქიკის ორგანო“ — ღრმა ძილის დროს არ მოქმედებს, მასში შეწყვეტილია ის პროცესები (ნერვულ უჯრედებში მიმდინარე აეგზნების პროცესები), რომელებიც ფსიქიკის საფუძველია. ეს უმთავრესია აუცილებელია დიდი ტვინის ქერქის დასასვენებლად. ამიტომ არის, რომ ადამიანს აუცილებლად სჭირდება პერიოდული ძილი.

იმ შემთხვევაში როდესაც, სხვადასხვა გარემოების გამო, ძილის დროს დიდი ტვინის ქერქის ზოგიერთი ადგილი (უჯრედების ზოგიერთი ჯგუფი) გარეგანი გაღიზიანებით (ბეგრებით, სინათლით, უხერხული ზოლით...), ანდა რაიმე შინაგანი პროცესებით (წყურვილი, ტკივილი და ა. შ.) ამოქმედდება, აღიგზნება, ადამიანს უნდება ტვინის ამ აღგზნებული ადგილების შესაფერი წარმოდგენები. და, რადგან ტვინის ქერქი, როგორც მთელი ორგანო, უმოქმედოა, ე. ი. ადამიანს სძინავს და თავისი განცდების შეგნებული, კრიტიკული შეფასების უნარი არა აქვს, იგი ამ მექანიკურად აღმოცენებულ წარმოდგენებს სინამდვილედ მიიჩნევს, სანამ არ გაიღვიძებს. ეს არის მისი სიზმარი! ასეთი სახის სიზმარი შემთხვევითი, ნაწყვეტ-ნაწყვეტი წარმოდგენებისაგან შედგება და ხშირად მის შინაარსს ვერც კი ვიხსომებთ ხოლმე — გაღვიძებისთანავე ვკვაფწყდება.

მაგრამ სიზმარს ხშირად ერძელი შინაარსი, მთელი ფაბულა აქვს, ერთმანეთს გადასლარული ამბებისაგან შემდგარი. ამ დროს ტვინის მარტო ის პუნქტი კი არ არის ამოქმედებული, რომელიც შემთხვევით გაღიზიანდა, არამედ — დაძინებული ტვინის მთელი არეები რაც, თავის მხრივ, ადამიანის ფაანტაზიის ამოქმედების შესაძლებლობას იძლევა. და ეს, მძინარე, შეგნებული აზროვნებას მოკლებული პიროვნების შეეზღუდავი ფანტაზია ხშირად სრულიად შეუძლებელსა და უცნაურს, ზოგჯერ კი გამოცდილებიდან, ყოველდღიურ ცხოვრებიდან აღებულ ამბებს ბაბაეს, რასაც ძილში მყოფი, კრიტიკის უნარს მოკლებული ადამიანი ისე გაინცდის, როგორც სინამდვილეს.

რა ამოქმედებს ძილის დროს ჩვენს ფანტაზიას?

ხშირად სიზმარს პირველ ბიძგს ფიზიკური გაღიზიანებები აძლევს. მაგალითად. მძინარე ადამიანს სახესთან მიუტანეს დანთებული ნათის ლამპა და მან სიზმარში ხანძარი ნახა. სახეზე ეესმის სითბოს და სინათლის მოქმედებამ მძინარის ფანტაზიას ხანძარი დაახატინა. მაშასადამე, მძინარეზე სხვადასხვა გამღიზიანებლის (ბეგრების, სუნის, შეხებისა და ა. შ.) ზემოქმედებით ხელოვნურად იწვევენ ხოლმე სიზმარს. თუ ამ დროს ადამიანს ღრმა ძილით სძინავს, მაშინ სიზმარს ნახავს, ე. ი. მთელი ტვინის ქერქი კი არ გამოცა ძილის მდგომარეობიდან, არამედ მხოლოდ ზოგიერთი, რეალურ გაღიზიანებასთან დაკავშირებული არე ამოქმედდება.

ზოგჯერ სიზმრის, ე. ი. ძილში ფანტაზიის ამოქმედების მიზეზი არის რაიმე დაუმაყოფილებელი მოთხოვნილება. ასეთ შემთხვევაში ფანტაზია ადამიანს ისეთი შინაარსის სიზმარს უბაბაეს, რომელშეც მოთხოვნილება უნდა დაკმაყოფილოს: წყურეაგე კაცი სიზმარში წყლის ან სხვა სასმელის დალევას ხედავს ან ხეაშს, თუ შია — საჭმელს ხედავს, ან ჭამს და ა. შ.

ხანდახან ფანტაზია სიზმარში იმას გვიბაბაეს რაც გვაოცებენებს, რაც გვაინტერესებს, რის რიდი ან შინიე გვაქვს, რაც გვაეშეხებს. მაგალითად, ვამიდა თუ გვაქვს ჩასაბარებელი, სიზმარში შეიძლება გამოცდის ჩაბარება, ჩაჭრა ან, პირიქით. წარმბატენი ჩაბარება დაგვიბაბაეს გამოცდის ჩაბარების გაწყობილი აღმოცენებულმა ფანტაზიამ...

ასის შემთხვევებში, როცა სიზმარში გრძედდება ის მოქმედება, რომელსაც დღის განმავლობაში დიდხანს ვასრულებდით. მაგალითად, ადამიანი, რომელიც მთელი დღე რაიმე ტკეცსტს თარგმნიდა, სიზმარშიც განაგრძობს თარგმნას; ვინც სიმინდს თოხნიდა, სიზმარშიც განაგრძობს ამ საქმეს და ა. შ. ასეთ შემთხვევაში მეცნიერები ამბობენ, ადამიანს „გაუდიქსირდა“, ე. ი. განუმტკიცდა ამ მოქმედების (თარგმნის ან თოხნის) განწყობილებაო.

ამრიგად, სიზმარი არის ის წარმოდგენები, რომელიც გვიჩნდება ძილის დროს და რომელსაც ჩვენ, ძილის მდგომარეობაში ყოფნისგამო, სინამდვილედ გვიღებთ.

ზეიძლება თუ არა სიზმარი წინასწარმეტყველური იყოს?

ეს შეეძლებელია! სხვას რომ თავი დავანებოთ, მძინარე ადამიანი, ფიზიოლოგან შედარებით, უუნარო, უმწეოა... ფეზიეს ადამიანს კი ენისწარმეტყველების უნარი არ გააჩნია. ადამიანს ენინსწარ მხოლოდ იმ მოვლენების ზუსტად გათვალისწინება შეეძლია. რომელია მიზეზები მეცნიერების მიერ არის შესწავლილი, მაგალითად, გარკვეული ასტრონომიული მოვლენა (მზის, მთვარის დაბნელება და ა. შ.), მეტეოროლოგიური მოვლენა (ავდარი იქნება თუ კარგი ამინდი, ჰაერის ტემპერატურის ცვლილებები) ანდა კიდევ, რაიმე საზოგადოებრივი მოვლენა — ისტორიეეი კანონზომიერების საფუძველზე და სხვა. ძილის მდგომარეობაში, ცხადია, ასეთი მეცნიერული წინასწარმეტყველება შეუძლებელია.

სიზმარში წინასწარ ისეთი მოვლენის ნახვა შეიძეება, რომლის საფუძველი ფიზიოლოგიურად ინსახება მძინარის ორგანიზმში. მაგალითად, საქმით გართულმა ადამიანმა თუ ვერ იგრძნო ყელის ახალდაწყებული ტკივილი, ან პატარა სიცხე, შეიძეება სიცხის ან ყელის ტკივილის შეგრძნების გამო ნახან სიზმარში ეჭიენორ, რომ ავად არის და გავიიმეის შემდეგ მართლაც ავადმყოფი აღმოჩნდეს. ან, მაგალითად, ვისაც რევმატიზმი ან ძვეელი იარა აქვს, შეიძლება ავდრის მოახლოებისას ატმოსფეროში მომხდარი ცვლილებების გამო აღძრული ძვლების ტკივილი იგრძნოს ძილში და, ძვეელი გამოცდილების საფუძველზე, სიზმარში ავდარი ნახოს, დ. მართლაც, რამდენიმე ხნის შემდეგ გაავდრდეს...

რაც შეეხება ისა, რასაც ხალხი „სიზმრის ახდენას“ უწოდებს, ეს მხოლოდ შემთხვევითი დამთხვევის შედეგი შეიძლება იყოს. მაგალითად, ადამიანმა სიზმარში მღერიე ეწყალი ან კბილის ამოღება და ა. შ. ნახა, ანდა, პირდაპირ, დაესიზმრა, რომ ბის მახლობელს რაღაც უბედურება დაემართა. და მართლაც, რამდენიმე ხნის შემდეგ მის მახლობელს რაღაც ცუდი დაემართა — ტრანსპორტის ავარიაში მოჰყვა და სხვ. ამ ორ მოვლენას შორის — სიზმარში ნანახსა და სინამდვილეში მომხდარს შორის — არ შეიძეება რაიმე არსებობა კავშირი არსებობდეს: მომხდარი უბედურების მიზეზი ხომ სიზმრის ნახვის დროს ჯერ არც კი არსებობდა! ეს ძალიან იშვიათი, შემთხვევითი დამთხვევაა. ადამიანები ბევრჯერ ხედავენ სიზმარში ისეთ რამეს, რომლის მსგავსიც ცხოვრებაში არაფერი ხდება. ამას არავინ აქცევს ყურადღებას და არაეინ არ იხსომებს. მაგრამ თუ ერთხელ ვინმეს მიერ სიზმარში ნანახის შესაბამეი რამ სინამდვილეში მოხდება, ამას მარტო სიზმრის მხასვილი კი არ იხსომებს, არამედ ეს ამბავი ნათესავებში, ნაცნობებშიც გავრცელდება ხოლმე და ზოგჯერ შეეძლება თაობიდან თაობაშიც გადავიდეს.

მაგრამ ეროვნული დროში დამთხვევა არ არის საკმარისი, რომ მათ შორის მიზეზისა და შედეგის დამოკიდებულება კეგლინსხმთ, რომ ერთი მოვეეა მეორის მიზეზად ჩაეთვალოთ. ასეთი ‘აზროვნება პირველყოფიეი, ეეელური ადამიანისათვის და პაპკარა ბავშვის აზროვნებისათვის არის დამახასიათებელი. აი- ნამდვილი მაგალითი: ორი პაპკარა ბავშეი საღამო ხანს ტახტზე თამაშობდა. აქვე იყო მათი პაპაც. უეცრად პაპამ ცხვირი დაიცემინა, იმავე წამს სინათეე ჩაქრა. ბავშვები დარწმუნებული იყვნენ ეს შემდეგაც კარგა ხანს უამბობდნენ თავიანთ ამხანაგებს: ჩვენი პაპა ისე მაგრა აცემინებს ცხვირს, სინათლეს აქრობსო. ჩვენთვის ეს სასაცილოა, რადგან ვიცით, რომ ცხვირის დაცემინებას არავითარი კავშირი არა აქვს ელექტროსეეთან. მაგრამ როდესაც ასევე დაუკავშირებელია ერთმანეთთან სიზმარი და მეორე სინამდვილეში მოხდარი ამბავი, ზოგი ადამიანი მათ შორის ‘ბიზეზია და შედეგის დამოკიდებულებას ხედავს. ეს ცრურწმუნეებაა!

რაც შეეხება იმ ძალიან იშვიათ შემთხვევებს, როდესაც ადამიანი სიზმრად იმას ნახავს, რაც სინამდვილეში ომაგე დროს მის მახლობელს ემართება (სიკვდილი, დაჭრა ან სხვა ამაღელვებელი ამბავი), ამის შესახებ მეცნიერებაში წამოყენებულია ჰიპოთეზა; შეიძლება ამ უბედურების განცდისას დაზარალებული ადამიანის ტვინში ასახული ძლიერი შთაბეჭდილება რაღაც ფიზიკური ტალღების მეოხებით აღწევს მისი მახლობლის, დღის შთაბეჭდილებებად განთავისუფლებული მძინარის ტვინს, რომელიც მასზე ფიქრობს, და სათანადოდ გაალიზიანებს მას, რაც აისახება სიზმარში. მაგრამ ეს ჯერჯერობით მხოლოდ დაასტოებითი ჰიპოთეზაა; ასეთი ფიზიკური ტალღების მეცნიერებას ჯერჯერობით ვერ აღმოეჩენია. ცნობილია, რომ ტვინის მოქმედებასას მისგან გამოიყოფა ელექტროტალღები (ბიოფეენები), მაგრამ ეს ტალღები ძალიან სუსტია და შორს ვერ სწვდება. მეცნიერთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ მომხდარი ამბის ერთფეროვნად მის შესახებ სიზმრის ნახვაც შემთხვევითი დამთხვევის შედეგია.

მხატვარი ოთარ ჩხარტიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევან მალაზონია

მხატვარი ზურაბ კაპანაძე

ზღაპარი

ერთ სახელმწიფოში თურმე დღე ისე არ გავიდოდა, ორმო არ ამოეთხარათ. საქმე ის იყო, რომ ამ ქვეყანაში ყველა ცრუობდა ვეზირი, მამასახლისი, მოჯამაგირე და თქვენ წარმოიდგინეთ, მეფეც კი. მობეზრდა ხალხს ამდენი სიცრუე და ერთ დღეს პირველმა ვეზირმა მეფეს ურჩია, ამიერიდან ვინც ტყუილს იტყვის, მაშინვე ორმო ამოვთხაროთ და შიგ ჩავაგდოთო. მოეწონა ხელმწიფეს ვეზირის რჩევა და თავის ქვეშევრდომებს უბრძანა, დღეიდან ვინც იცრუებს, მას ორმოში ჩავამწყვდევო. ერთხანს შიშით ვერავინ ბედავდა ტყუილის თქმას და მეფესაც უხაროდა — ხალხი სიცრუეს გადაეჩვიაო. მაგრამ გავიდა ცოტა ხანი და პირველად თვითონ მეფემ იცრუა. ამის გამგონე ვეზირებმა მაშინვე ტყუილების გუდას მოხსნეს თავი. ვეზირებს მამასახლისები აჰყვნენ, მამასახლისებს — მოჯამაგირეები, და აივსო სამეფო ორმოებით და ორმოებში ჩამწყვდეული ხალხით. ჯერ მოჯამაგირეები დაიბრიყვეს და ორმოებში ჩაყარეს, შემდეგ მამასახლისები და მერე — ვეზირები. მეფეც, რა თქმა უნდა, ყოველდღე ცრუობდა, მაგრამ ხელმწიფისათვის ორმოს ამოთხრას ვერავინ ბედავდა და მის ტყუილს ყურადღებას არ აქცევდნენ. სულ მალე. მთელ სახელმწიფოში კაცის ჭაჭანებაც აღარ იყო. მიწის ზევით მხოლოდ მეფე დარჩა თავისი ტყუილების ამარა. მარტო დარჩენილმა წარბები შეჭკრა და მოიწყინა. ერთ დღეს, თუ დაიჯერებთ, კიდეც ატირდა. მაგრამ მეფეს მარტოობა სულაც არ ადარდებდა. იგი იმიტომ ტიროდა, რომ მის ტყუილს არვინ უსმენდა და ორმოს ამომთხრელიც აღარავინ იყო. იფიქრა, იფიქრა მეფემ და ბოლოს გადაწყვიტა, ორმო თავისთვის თვითონ ამოეთხარა, სადაც ხალხი, მეც იქაო, თქვა და მაშინვე ბარს წამოავლო ხელი. ამოთხარა ორმო, ჩაჯდა შიგ და გაილურსა.

კარგა ხანი გავიდა, მაგრამ ორმოებიდან კრინტიც კი არ ისმოდა: ყველა ერთმანეთს ელოდებოდა, აბა ახლაც იცრუებს ვინმე თუ არაო. რა ფასი ჰქონდა ორმოში ტყუილს, მაგრამ სიცრუეს ისე იყვნენ დაჩვეული. სიმართლე აღარავის ახსოვდა. აღარც ცრუობდნენ და მართალს ხომ არ ამბობდნენ და არა. ისხდნენ ასე ორმოებში გატრუნულები და ხმის ამოღებას ნატრობდნენ.

სად იყო და სად არა, ერთ დღეს ამ სახელმწიფოში პატარა ბიჭი გამოჩნდა. ცალ ხელში სალამური ეჭირა, მეორეში — ჯოხი და ისე მოაბიჯებდა. ბიჭს უჭირდა სიარული. გაუჭირდებოდა, აბა რა იქნებოდა, ყოველ ფეხის ნაბიჯზე ორმო რომ ხვდებოდა!

— საიდან მოდიხარ და სად მიდიხარო. — ამოსძახა ორმოდან ერთმა ვეზირმა.

— მამაცების ქვეყნიდან შინ ვბრუნდები, მაგრამ გზა ამებნა და არ ვიცი საით წავიდეო, — უპასუხა ბიჭმა.

— მამაცების ქვეყანაში რა გინდოდაო? — დაინტერესდა ვეზირი.

— არ ვიცოდი როგორ გავმხდარიყავი მამაცი და ვისწავლეო, — მიუგო ბიჭმა.

ორმოებიდან ჯერ ერთმა ამოყო თავი, მერე მეორემ და ბოლოს მთელი სამეფო თვალებდაჭყეტილი ათვალიერებდა უცხო ყმაწვილს. მხოლოდ მეფე ისევ გალურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სული იჯდა ორმოში და ფიქრობდა, მეც წამოვყო თავი თუ არაო.

— იქნებ დამეხმაროთ და გზა მიმასწავლოთ. — თქვა ხმამაღლა ბიჭმა.

— მარცხნივ უნდა წახვიდეო, — იცრუა ვეზირმა.

— მარცხნივ კი არა, მარჯვნივო. — იყვირა მამასახლისმა.

— ჩემი აზრით, უკან უნდა იაროო. — თქვა მონადირემ.

— მე მგონი, პირდაპირ რომ წახვიდე, აჯობებსო, — წამოიძახა მოჯამაგირემ. ვეზირსაც, მამასახლისსაც, მონადირესაც და მოჯამაგირესაც უხაროდათ, რომ ცრუობდნენ და სიამოვნებისაგან იკრიჭებოდნენ.

— ჩემს სახლს მე თვითონ მივაგნებო. — თქვა ბიჭმა და წასვლა დააპირა.

— ის მაინც თქვი, მამაცი როგორ უნდა გახდეს კაციო. — ამოსძახა მოთმინებადაკარგულმა მეფემ.

— ვინც სიმართლეს იტყვის, მამაციც ის არისო. — უპასუხა ბიჭმა.

ახლა კი ამოყო თავი მეფემ ორმოდან და ბიჭს უთხრა:

— აბა, თუ მამაცი ხარ, სიმართლე თქვიო.

— შენ ბრიყვი ხარო. — უთხრა ბიჭმა.

— რა იციო. — ჰკითხა ხელმწიფემ.

— როგორ თუ რა ვიცი! ბრიყვი რომ არ იყო, ორმოში არ იქნებოდიო.

გაბრაზდა მეფე. ამოხტა ორმოდან და ბიჭს გამოუდგა. მეფეს ვეზირები ამოჰყვნენ, ვეზირებს — მამასახლისები, მამასახლისებს — მოჯამაგირეები და დაცარიელდა ორმოები. მირბის ბიჭი და მისდევს მთელი სამეფო. ბოლოს შემოარტყეს ალყა, და ის იყო ხელი უნდა ეტაცნათ, რომ ამ დროს ბიჭმა სალამური დაუკრა და ყველანი სმენად იქცნენ. ისე კარგად უკრავდა ბიჭი, ისე კარგად რომ მეფეს გული მოუგო.

— ყველა, ყველა, მაგრამ, შენ თუ მამაცი ხარ, რაღას გარბოდიო, — ჰკითხა ხელმწიფემ.

— რეგვენი უნდა იყო მთელ სამეფოს რომ შეებრძოლო. — უპასუხა ბიჭმა. — მამაცობა ისიც არის, არასოდეს არ დაიბნე და გამოსავალს მიაგნო. მე რომ სალამური არ დამეკრა, ალბათ ცემით მომკლავდითო.

— ამდენს რომ ლაპარაკობ, ის თუ იცი, რომ მე შენ ახლა დაგსჯიო. — უთხრა მეფემ.

— რატომ უნდა დამსაჯოო. — ჰკითხა ბიჭმა.

— ახლა არ იყო, ბრიყვი რომ მიწოდეო? — გაჯავრდა ხელმწიფე.

— ორმოში გნახე და, აბა რა უნდა მეთქვა! თუ ამ სიმართლისთვის დამსჯი, ახლაც ბრიყვი იქნები, თუ არა და — მამაციო. — უპასუხა ბიჭმა.

— მამაცი როგორო. — დაინტერესდა ხელმწიფე.

— მართალი და მწარე სიტყვის მოთმენასაც სიმამაცე უნდაო. — უთხრა ბიჭმა.

ჩაფიქრდა ხელმწიფე. იფიქრა, იფიქრა და ბოლოს-დაბოლოს მიხვდა, რომ ბიჭი მართალი იყო.

— ისე, ორმოში ჯდომას სიმართლის თქმა და ამ მიწაზე სიარული არა სჯობსო? — იკითხა ხელმწიფემ.

— სჯობსო. — უპასუხა მთელმა სამეფომ.

— აბა, მაშინ, დღეიდან სიმართლე ვუთხრათ ერთმანეთს და ჩვენც მამაცები ვიქნებითო. — დაიქუხა ხელმწიფემ.

— ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ამ ორმოებს რა ვუყოთო. — იკითხა ჩაფიქრებულმა მოჯამაგირემ.

— ამ ორმოებში თითომ თითო ხე ჩარგოს და აქაურობა ბაღად გადაიქცევაო. — ურჩია პატარა ბიჭმა.

ეს რჩევა ყველას მოეწონა და მაშინვე საქმეს შეუდგნენ.

მონადირე რის მონადირეა, თუ ყველა გზის ასავალ-დასავალი არ იცის! ჰოდა, იმანაც ბიჭს სახლისაკენ მიმავალი გზა მიასწავლა. ეს პირველი შემთხვევა იყო, მონადირე რომ არ ცრუობდა. პატარა ბიჭი გამოეთხოვა ყველას და გზას გაუდგა.

მას შემდეგ იმ სამეფოში აღარავინ ცრუობს და მთელი ქვეყანა მართლაც ბაღს დაემსგავსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამენი

ა. გოვოროვი

თანამედროვე ბიჭებისა არ იყოს, ორი ათას ხუთასი წლის წინათაც ბიჭუნებს ყველაზე მეტად ფათერაკები უყვარდათ. მაგრამ ჩვენს წელთაღრიცხვამდე V საუკუნეში, საბერძნეთ-სპარსეთის ომის დროს, ძველი ათენელი მხევლის ვაჟი ალკამენე ფათერაკებს უფრო გმირობის ჩასადენად ეძებდა, რათა მონობისაგან თავი დაეღწია. ჯერ მსახიობს შეენაცვლა თეატრში, მერე ღვთაებრივი გველის მოტაცება სცადა, ბარბაროსებსაც შეერკინა... ალკამენეს განუყრელი მეგობრები არიან გოგონა მიკა და მხიარული მოხუცი მნესილოქე.

ალკამენემ არ იცოდა, რომ თავისუფლებას მარტო ვერ მოიპოვებდა. მას დიდებულთა წინააღმდეგ მონათა მხარდამხარ ბრძოლა არ სურდა, ამიტომ მუდამჟამს მარცხი და უიმედობა ელოდა.

როგორ გადარჩა ჭიანჭველების ქვეყანა. როგორ დაამყარა სოკომ რეკორდი

ნ. კინჩევი

ნიკოლო კინჩევს კარგად იცნობენ ბულგარეთში, დიდებიცა და პატარებიც. 1965 წელს გამოცემულმა მისი ლექსების კრებულმა „უსასრულობამ“ საყოველთაო მოწონება დაიმსახურა, იგი წლის საუკეთესო წიგნად იქნა აღიარებული. ნიკოლო ქართველი ხალხის დიდი მეგობარია. პოეტი ორჯერ იყო საქართველოში, ბულგარული ენაზე თარგმნა და გამოსცა ქართული პოეზიის ანთოლოგია.

კინჩევის პოემა-ზღაპრები შესანიშნავად თარგმნა გივი ძნელაძემ. ერთი მათგანი ადრე უურნალ „პიონერში“ დაიბეჭდა, მეორე — ჟურნალ „დილაში“. წიგნი ლამაზად არის დასურათებული თქვენთვის ცნობილი მხატვრის ზურაბ ფორჩხიძის მიერ.

გაზაფხულის საძებნელად

ე. კრუსტენი

ესტონელი მკითხველი ოციანი წლებიდანვე იცნობს ერნი კრუსტენს. მის მოთხრობებსა და მინიატურებში კარგად იგრძნობა მრავალჭირგამოვლილი, კეთილი და მგრძნობიარე ავტორი

ვუნდერკინდები

სტატისტიკის თანახმად, გენიოსი ადამიანები არაჩვეულებრივ ნიჭს 11 წლის ასაკამდე ამჟღავნებენ. ეს, უმეტესად, სასკოლო მასალის სწრაფად ათვისებით ვლინდება. მაგრამ არის საწინააღმდეგო შემთხვევებიც. მაგალითად, ჯორჯ ბაირონი, ვალტერ სკოტი, ჩარლზ დარვინი ბავშვობაში არაფრით არ გამოირჩეოდნენ. ვუნდერკინდი ბავშვები თავისუფალი დროის დიდ ნაწილს მათთვის საინტერესო საქმეს ახმარდნენ: ლექსებს თხზავდნენ, ხატავდნენ, აგროვებდნენ მწერების კოლექციას, ქიმიურ ცდებს ატარებდნენ...

გამოჩენილ ადამიანთა ბავშვობისდროინდელ ნაწარმოებთაგან ბევრი დღემდეც შემონახულია. ცნობილია, მაგალითად, 13 წლის ალბრეჰტ დიურერის ავტოპორტრეტი.

ცხრა წლის გოეთე ლექსებს სამ ენაზე წერდა: გერმანულად, ლათინურად და ბერძნულად. ლისტი, შოპენი, მენუხინი 11 წლისანიც კი არ იყვნენ, საჯარო კონცერტებს რომ მართავდნენ. შვიდი წლის მოცარტმა ოთხი სონატა დაწერა.

ამბობენ, თანამედროვე მათემატიკის ფუძემდებელი ჰაუსი სამ წლინახევრისა იყო, მამის ანგარიშის ქაღალდებში ძალზე საყურადღებო შეცდომა რომ აღმოაჩინაო, თითქმის ყველა ძირითადი აღმოაჩენა ჰაუსმა 14-17 წლის ასაკში მოახდინა.

15 წლის პასკალმა 100 ახალი თეორემა გამოაქვეყნა და დაამტკიცა.

კიბერნეტიკის მამა ნორბერტ ვინერი 5 წლისა დაინტერესდა მეცნიერებით. 9 წლის ვინერი 18 წლის ჰაბუკებთან ერთად იჯდა სკოლის მერხზე. 12 წლისა რომ გახდა, კოლეჯში შევიდა, 14 წლისამ კი სამეცნიერო ხარისხი დაიცვა.

გზას ფქვილისაგან აკეთებენ

პოლონეთში ავტომობილის გაცვეთილ საბურავებს კი არ გადაგდებენ, არამედ

ფქვავენ და „ფქვილს“ ასფალტში შეურევენ ხოლმე. ასეთ გზაზე ავტომობილის დამუხრუჭება უფრო ადვილია, ვიდრე სუფთა ასფალტზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწერალი ვერ ურიგდება ტლანქ, გულქვა სულის ადამიანებს. შეურიგებლობა კრუსტენის ჰუმანიზმის ძირითადი ხაზია. იგი მკვეთრად უპირისპირებს ერთმანეთს დადებითსა და უარყოფითს, კეთილსა და ბოროტს.

„ნაკადულის“ მიერ ახლახან გამოცემულ მის წიგნს უეჭველად სიამოვნებით წაიკითხავთ.

საოცარი თავგადასავლები

ვ. გუბარევი

ვიტალი გუბარევმა თავისი პირველი მოთხრობა 1926 წელს, ცამეტი წლის ასაკში გამოაქვეყნა. იგი პიონერებისადმი იყო მიძღვნილი. ავტორი თვითონ იყო პიონერი, პიონერხელმძღვანელადაც მუშაობდა და კარგად იცნობს ბავშვების ცხოვრებას.

ბავშვებს ყველაზე მეტად მისი მოთხრობები და ზღაპრები უყვართ. ესენია: „მრუდე სარკეების სამეფო“, „მოგზაურობა ცისკრის ვარსკვლავზე“ და „სამნი კუნძულზე“.

„მოგზაურობა ცისკრის ვარსკვლავზე“ ვ. გუბარევის ახალი ნაწარმოებია. იგი მოგვითხრობს რუსი გოლიათების სახიფათო თავგადასავალს უცნობ პლანეტა ეო ტაუზე.

„ნაკადულმა“ სამივე მოთხრობა ერთად გამოსცა და ამით კიდევ ერთი კარგი საჩუქარი მიუძღვნა ნორჩ მკითხველებს.

ეპიზოდი ეპიზოდზე

— ბოლოსდაბოლოს, როდის გამოასწორებ შეორიანებს?

— რა ვქნა, მამი, მასწავლებლები ჟურნალს სამასწავლებლოში ინახავენ ხოლმე.

●

— ხომ არავის აქვს შეკითხვა, სანამ გამოცდას დავიწყებდეთ? — მიმართა მასწავლებელმა კლასს.

— მე მაქვს, — წამოდგა მაქსი, — რომელ საგანს ვაბარებთ?

●

დედა მიმართავს შვილს:

— რაო, უკვე ყველა სათამაშო დაამტვრიე რაც მამამ მოგიტანა?

— არა, დედა, ჩაქუჩი დამრჩა.

●

მასწავლებელი: მდინარეები ჩაედინებიან ზღვებში. მაშ რატომ არ გადმოდიან ზღვები და არ ფარავენ მიწას?

პეტერი: იმიტომ, რომ ზღვაში ჩასულ წყალს თევზები სვამენ.

●

ჰანსი გამალებით ღებავს ეზოს ღობეს.

— რატომ ჩქარობ ასე, ჰანს?

— მინდა მოვასწრო შეღებვა, სანამ საღებავი გამითავდებოდეს.

●

— ეს არის ახალი კონსტრუქციის ღუმელი. ამას იმის ნახევარი ნახშირი სჭირდება, რასაც ჩვენი ძველი ღუმელი სწვავდა, — თქვა მამამ.

— მაშინ ერთი ცალი ასეთი ღუმელიც ვიყიდოთ და ნახშირი სულ აღარ დაგვჭირდება, — წამოაყენა წინადადება ტომასმა.

გერმანულიდან თარგმნა **ს. ველაშვილმა.**

„დაგვიტოვეთ ჭაობი“

ძალიან ხომ არ შევტოპეთ? ჭაობის ხელაღებით მოსპობა გამოუსწორებელ შედეგებს ხომ არ მოგვცემს? — ეს კითხვა მსოფლიოს ბევრ სწავლულს აღელვებს, სხვადასხვა სპეციალობის მეცნიერთა აზრით, ჭაობი კეთილ გავლენას ახდენს ჰავაზე, ჰიდროლოგიურ რეჟიმზე, ფლორასა და ფაუნაზე. ბევრი ჭაობი მართლაც ამოსაშრობია, მაგრამ ყველა — არა. ზოგი ჭაობიანი ადგილი აუცილებლად უნდა შევინარჩუნოთ და დავიცვათ. სწორედ ამიტომ, იუნესკოს მხარდაჭერით, საერთაშორისო ბიოლოგიური პროგრამის ჩარჩოებში შეიუნძავეს ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ჭაობების დაცვის პროექტი „ტელმას“ სახელწოდებით. „ტელმა“ ძველბერძნული სიტყვაა და ლამს, ტალახს ნიშნავს.

შარშან ინგლისის ქალაქ შრესბერიში შეიკრიბნენ ევროპის თითქმის ყველა ქვეყნის წარმომადგენლები, რომლებიც „ტელმას“ პროექტის შედგენაში მონაწილეობდნენ. მათ შეიმუშავეს პროგრამა, რომლის თანახმად შესწავლილი უნდა იქნეს ისეთი ჭაობები, რომლებსაც მეცნიერული და ბუნებრივი ღირებულებით საერთაშორისო მნიშვნელობა აქვთ. მაგალითად ცენტრალური ევროპის ზოგიერთი ჭაობი უნიკალური, არქეოლოგიური, და ანთროპოლოგიური ძეგლია, ზოგი კი — განუმეორებელი ნაკრძალი.

უკვე იქმნება მონუმენტური მეცნიერული და პოპულარული შრომები, რომელთა მიზანია, არასპეციალისტებს შეაგნებინოს ბუნების მიმართ გონივრული და ფრთხილი დამოკიდებულების აუცილებლობა, რადგან ბუნებაში ყველაფერი განუყრელად არის დაკავშირებული ერთიმეორესთან და ბუნება მკაცრად სჯის ყველას, ვინც მას დაუდევრად მოეკიდება.

ოქრო მდინარის წყალში

საბჭოთა მეცნიერმა დ. ბილენკომ გამოიანგარიშა: ოთხი კუბური მეტრი მდინარის წყალი ერთ მილიგრამ ოქროს შეიცავს. ეს კი ცოტა როდია. მაგალითად, ვოლგა ერთი წლის განმავლობაში კასპიის ზღვას 250 კუბურ კილომეტრ წყალს აწვდის, მა შასადამე, წელიწადში მას 600 ტონა ოქრო ჩააქვს ზღვაში. ოქროს ეს რაოდენობა ოცჯერ აღემატება გასული საუკუნისათვის რუსეთში ამ ძვირფასი ლითონის წლიურ მოპოვებას.

უვავილის მელანი

ადრიატიკის ზღვაში არის კუნძული რაბი. ამ კუნძულზე შემონახულია ხუთას წელზე მეტი ხნის წიგნები. მათი ფურცლები თხის თხელი ტყავისაგან არის დამზადებული, ტექსტი კი ყვავილების წვერისაგან გაკეთებული მელნითაა დაწერილი და ახლაც კარგად იკითხება.

კროსვორდი

ვერტიკალურად: 1. თევზის ჯიში; 2. რაიონული ცენტრი საქართველოში; 5. სახელმწიფო აფრიკაში; 6. ავადმყოფობის ერთ-ერთი სახე; 7. ქიმიური ხელსაწყო; 9. ქალაქი პოლონეთში; 10. მდინარე საბჭოთა კავშირში; 11. მდინარე საქართველოში; 15. მყინვარი კავკასიონზე; 16. ქალაქი საბჭოთა კავშირში; 18. ინგლისის გლეხთა დიდი აჯანყების მეთაური; 21. ნელი ქარი ანუ... 22. სუბტროპიკული მცენარე; 27. ესპანეთის დედაქალაქი; 28. ქალაქი შვეიცარიაში; 31. ხილი; 32. რაიონული ცენტრი საქართველოში; 35. რუსი ადმირალი; 36. ცნობილი საბჭოთა ფეხბურთელი; 37. ტროპიკული მცენარე; 39. საასპარეზო მოედანი ანუ... 40. ნაცვალსახელი.

ჰორიზონტალურად: 3. ცხოველი; 4. ინდოეთის კუნძული; 8. მწვერვალი აღმოსავლეთ აფრიკაში; 12. სახელმწიფო ევროპაში; 13. ერთ-ერთი ქართული ჟურნალის სახელწოდება; 14. წიაღისეულით განთქმული მთა სსრკ-ში; 17. სახელმწიფო აზიაში; 19. სპორტის სახეობა; 20. გამოჩენილი ქართველი ფეხბურთელი; 23. ალ. ყაზბეგის ნაწარმოები; 24. მუსიკალური ბგერის აღმნიშვნელი ნოტი; 25. მცენარე; 26. ძველი თბილისის უბანი; 29. ქალაქი საქართველოში; 30. ერთუჯრედიანი ცხოველი; 33. მწერი; 34. ქალაქი მცირე აზიაში; 38 ჩრდილოეთ ვიეტნამის დედაქალაქი; 41. კუნძული ხმელთაშუა ზღვაში; 42. ტაილანდის დედაქალაქი; 43. ინდონეზიის კუნძული; 44. ფრინველი; 45. მდინარე ჩინეთში.



შეადგინა ბაბულია მღებრიშვილმა.
კასპის რაიონის სოფ. თელათგორის
8-წლიანი სკოლის მოსწავლე.

ფორთოხალს თეთრი კანი იოლად გაეცლება, თუ მას გაფცქვნამდე ხუთიოდე წუთით მდუღარეში გააჩერებთ.

მუშამბას ნიშადურის სპირტითა და სოდით ნუ გასწმენდთ, ამისათვის ცხელი წყალი და საპონი იხმარეთ, შემდეგ ციკი წყალი გადაავლეთ და მშრალი ნაჭერი გადაუსვით.

●

ვისაც ხშირად უხდება კიბეზე დგომელა მუშაობა, კარგად იცის, რომ ერთ-ერთი საფეხურის თავზე რეზინის რგოლის გაკეთება ძნელი არ არის, საქმიანობაში კი ძალზე გამოსადეგია — საჭირო ხელსაწყო მუდამ ხელთ გექნებათ.



●

სამედიცინო (ვთქვათ იოდიან) ამპულას თავს წაატეხენ, ხსნარს ცოტას იხმარენ, შემდეგ დარჩენილ სითხეს სხვა ჭურჭელში გადაასხამენ, მაგრამ ხშირად ხელთ არა გვაქვს საცობმორგებული ფლაკონი. ამასთან აქროლად სითხეს ყველა საცობი როდი ინახავს სათანადოდ.



ფლაკონის თავის დასაცობად საცობის ნაცვლად პლასტილინი იხმარეთ და ნახავთ, რაოდენ ჰერმეტულად შეინახება სითხე.

●

კინო-ფოტომოყვარულებს კარგად მოეხსენებათ ერთი ჭეშმარიტება: რაც უფრო კარგად აქვს ჭურჭელს დაცობილი საცობი და რაც უფრო ნაკლები ჰაერია შიგ, ხსნარი მით უფრო დიდხანს ძლებს. მაგრამ ბოთლზე რეზინის საცობის დაცობა (რეზინის საცობი ყველაზე საიმედოა ასეთ შემთხვევაში) ძნელია, შემჭიდროებული ჰაერი ამის საშუალებას არ იძლევა. თუ გინდათ საცობმა არ გაგაწვალოთ და ჭურჭელი ჰერმეტულად დახურეთ, დაცობისას საცობს 1 მმ. დიამეტრიანი მავთული დაუტანეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთახის მცენარეების მოვლა

შალვა ისაკაძე,
ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.

ოთახის მცენარეები ნორმალური ზრდა-განვითარებისათვის სათანადო მოვლას საჭიროებს. დროზე მორწყვა, წამლის შესხურება, განოყიერება, გადარგვა და მრავალი აგროტექნიკური წესის სწორი გამოყენება ხელს უწყობს მცენარის ხანგრძლივ ყვავილობას, ნაყოფმსხმოიარობას და ა. შ.

მორწყვა. წყალი მცენარისათვის ძირითადი საარსებო საშუალებაა, წყლის მეშვეობით იღებს იგი მიწიდან საკვებ ნივთიერებებს. წყლის ნაკლებობის დროს მცენარის უჯრედები სუსტდება და კვდება კიდეც. მორწყვის შემდეგ კი უჯრედის მოქმედება ძლიერდება და მცენარეც სწრაფად იზრდება. მცენარის ქსოვილები 80—95% წყალს შეიცავს. წყალი ნიადაგში საკვებ ნივთიერებას შლის და მცენარეში გადაიქცევა. მზის სხივების ზემოქმედებით ფოთლებში ორგანული ნივთიერება წარმოიქმნება. ამ ბიოლოგიურ პროცესს ბოტანიკოსები ფოტოსინთეზს უწოდებენ.

როცა ოთახის მცენარეს წყალი აკლია, ფოთლები უჭკნება, ქოთანში მიწა ბაცი ფერისა ხდება, ქოთანი მიკაკუნებისას წკრიალებს. ხოლო, თუ ნიადაგი ნოტიოა, ყრუ ხმას გამოსცემს.

მორწყვის დროს ნიადაგი მთლიანად უნდა გაიჟღინოს. წყალი რომ არ დაგუბდეს, ნიადაგი უნდა გავაფხვიეროთ, ზედაპირზე მოკიდებული ქერქი ავჩიჩქნოთ, ქოთნის ფსკერზე დრენაჟი (საწრეტი) მოვაწყოთ და ა. შ. სასურველია სარწყავი წყლისა და ოთახის ჰაერის ტემპერატურა ერთნაირი იყოს. დაუშვებელია მცენარის მორწყვა ცივი წყლით, რადგან ცივ წყალს ფესვები არ ისრუტავს; ცხადია, მოსარწყავად არც ცხელი წყლის ხმარება შეიძლება.

მოზრდილსა და ჯანსაღ მცენარეს უფრო მეტად სწყურია. მცენარე ყვავილობისა და ზრდის სტადიაში უფრო უხვად უნდა მოირწყას. მორწყვის ვადები და რაოდენობა წელიწადის დროების მიხედვით განისაზღვრება. ზაფხულში მცენარე საღამოს ირწყვება, ცხელ ამინდში — დილა-საღამოს, ამასთან, წყლის პერიოდულ მიპკურებასაც მოითხოვს. დიდი ხნის მოურწყავი მცენარე წყლიან ჭურჭელში ქოთნით უნდა ჩავდგათ (ყელამდე). როცა წყალში ბუშტები გაჩნდება, ეს იმას ნიშნავს, რომ ნიადაგი წყლით უკვე გაიჟღინთა და ქოთანი წყლიდან უნდა ამოვიღოთ.

სქელხორციანი მცენარეები: კაქტუსი, ალოე, მეზემბრიანთემუმი, აგავა და ცხელი ქვეყნების სხვა მცენარეები ზომიერად უნდა მოირწყას. მაგალითად, კაქტუსს ზაფხულში ორ-სამ დღეში ერთხელ რწყავენ, ხოლო ზამთარში — ათ დღეში ერთხელ. სუბტროპიკულსა და ტროპიკულ მცენარეებს — მონსტერას, ფიკუსს, ბეგონიას, კოლეუსს უფრო ხშირი რწყვა სჭირდება: ზაფხულში ყოველდღე (ზოგჯერ — დღეში სამჯერ), ზამთარში კი სამ დღეში ერთხელ.

ახლადგადარგულ მცენარეს ნაკლებად სწყურია, ამიტომ წყალი პულვერიზატორით პერიოდულად უნდა მოვაპკუროთ. ბუსუსფოთლიანი მცენარეების: გლოქსინიას, კოლეუსის, სანპაუტეას, ნემსიწვერას, და სხვების მოპკურება არ შეიძლება, რადგან ფოთლებზე დაცემულმა წვეთებმა შეიძლება ლპობა გამოიწვიოს.

გადარგვა. ოთახის მცენარის გადარგვისას წინასწარ უნდა მოვამზადოთ მაგიდა, საბაღო მიწა, ქოთანი, მცენარე, ყუთები, ქვიშა... გადარგვა გაზაფხულზეა უმჯობესი, გადარგვის დროს მცენარე ისე უნდა დავაპირქვავოთ, რომ ფესვის ყელი მარცხენა ხელის თითებს შუა მოთავსდეს. ქოთნის კედელზე მარჯვენა ხელის მსუბუქი დარტყმით და მაგიდაზე ოდნავ ჩამორტყმით მცენარის ბელტს ქოთანს ვაცილებთ. შემდეგ ვაკვირდებით ბელტს. თუ ფესვები ძლიერ არის განვითარებული და ნიადაგს ფარავს, მაშინ გადარგვა აუცილებელია, გადარგული მცენარე შედარებით მოზრდილ ქოთანში უნდა მოვათავსოთ. ზეთის საღებავებით ქოთნის შეღებვა დაუშვებელია: საღებავი ქოთნის ფორებს ამოავსებს და ნიადაგში ჰაერს არ შეუშვებს.

გადარგვის წინ, ცარიელი ქოთნის ფსკერზე საჰაერო ხვრელს ჯერ ქვის ან გამოუსადეგარი ქოთნის წვრილი ნატეხები უნდა დავაყაროთ, შემდეგ — ქვიშა, ბოლოს კი — საბაღო მიწა. მცენარის ღერო, ჩვეულებრივ, ქოთნის შუაში თავსდება. დარგვის წინ მცენარის ფესვებს უნდა დავაკვირდეთ. დაზიანებული და გადაბერებული ფესვები მჭრელი დანით უნდა მოვაშოროთ. ჩარგული მცენარის ფესვის ყელი ქოთნის პირს არ უნდა ასწვდეს, ერთი-ორი სანტიმეტრით დაბლა უნდა იყოს.

გადარგვა სწრაფად უნდა მოხდეს, თორემ ნორჩი ფესვები და ბუსუსები გახმება. გადარგვის შემდეგ მცენარე უხვად უნდა მოირწყას. კაქტუსებსა და სხვა სქელხორციან მცენარეებს სამი დღის განმავლობაში რწყვა არ უნდა. ახლადგადარგულები ერთი კვირა ჩრდილში უნდა მოვათავსოთ.

განოყიერება. ოთახის მცენარეს, ზომიერი ზრდა-განვითარებისათვის, ხელოვნური კვება — მინერალური და ორგანული სასუქებით ნიადაგის დროდადრო განოყიერება სჭირდება. ნიადაგში სასუქის შეტანა ზოგჯერ სამ თვეში ერთხელ ხდება. მინერალური სასუქის შემადგენლობაში შედის: აზოტი, ფოსფორი და კალიუმი. აზოტი მცენარის ზრდას უწყობს ხელს, ფოსფორი და კალიუმი კი ყვავილობასა და ნაყოფმსხმოიარობას აჩქარებს. სასურველია ნიადაგში სამივე ქიმიკატი ერთდროულად შევიტანოთ. უმჯობესია სასუქი თხევადი იყოს. ორი გრამი სულფატამონიუმი ან აზოტის ნიტრატი ერთ ლიტრ წყალში უნდა გავხსნათ. იმისათვის, რომ მცენარე მალე შეიფოთლოს, კარგია ერთ ლიტრ წყალში განზავებული 0,5 გრამი გვარჭილა, ან ერთი გრამი გოგირდმჟავა ამონიუმი ვიხმაროთ. ისეთ დეკორატიულ-ფოთლოვან მცენარეებზე, როგორიცაა: ბეგონია, რექსი, ნემსიწვერა, კოლეუსი და სხვა, დადებითად მოქმედებს 10 ლიტრა წყალში გახსნილი 4 გრამი ამონიაკის გვარჭილა, 5 გრამი სუპერფოსფატი და ერთი გრამი კალიუმის მარილი.

ოთახის მცენარეებზე კარგად მოქმედებს ორგანული სასუქები: ტორფი, ნეშომპალა და სხვ. ნიადაგი პერიოდულად უნდა გამოიკვებოს ხუთი გრამი ქათმის სკორესა და ერთი ლიტრი წყლის ხსნარით. ათი დღის დაღლილს შემდეგ ხსნარი უკვე მზად არის ნიადაგში შესატანად. ოღონდ იგი მოღრუბლულ ამინდში ან საღამოს საათებში უნდა შევიტანოთ. ახლადგადარგული ან დაუფესვიანებელი მცენარისათ-



ვის სასუქის მიცემა დაუშვებელია.

ბასხვლა. ოთახის მცენარე ლამაზად შეფოთლილი და დატოტვილი უნდა იყოს, ამიტომ იგი პერიოდულად უნდა გაისხლას. მცენარეებს, რომელთაც ყვავილი ერთწლიან ნაზარდზე წარმოექმნებათ (ვარდი, ნემსიწვერა, ფუქსია, ჰორტენზია) გაზაფხულზე ზრდის დაწყებამდე სხლავენ.

გასხვლის დროს მცენარის სიმაღლე ორი მესამედით უნდა შემციდრეს, ხმელი და გადაბერებული ტოტები შემოცალოს. ახალგაზრდა მცენარეს წვერი (ცენწრული ნაზარდი) უნდა წაეჩქმიტოს, რაც გვერდითი ტოტების განვითარებასა და მცენარის მოსაღონიერებლად არის საჭირო. კასრში ჩარგული მცენარე მაკრატლით (სეკატორით) ან მჭრელი დანით უნდა გავკრიჭოთ.

აპვრა. ხვიარას, ამპელურს (დაკიდებული) და სიმაღლეში წასულ მცენარეებს სპეციალური საყრდენი სჭირდება. მაღალტანიანი მცენარეებისათვის ნიადაგში, ქოთნის ფსკერამდე, ჩაუშვით საყრდენი ხარდანი და ზედ მცენარის ღერო ან დაკიდებული ტოტები ზონარით მიამაგრეთ. საყრდენი განსაკუთრებით ისეთ ხვიარებს ესაჭიროება, როგორიცაა: სურო, ველური ვაზი, ხურნელოვანი არჯაკელი, სატაცური და სხვ.

გაწმენდა. ოთახის მცენარის ვეგეტაციური ნაწილები კვირაში ერთხელ უნდა გაიწმინდოს რბილი ღრუბლით ან თბილ წყალში ამოვლებული ბამბით. რელიეფური ფოთლების გასაწმენდად კარგია კბილის ჯაგრისი.

ავადმყოფობასთან და მავნებლებთან ბრძოლა. არასწორი მოვლით მცენარეს ხშირად დაავადება უჩნდება. დაავადებას იწვევს თვალით უხილავი ბაქტერიები, სოკოები, ვირუსები, ცოცხალი მავნებლები (ფარიანა, ტკიპა) და საკვები ნივთიერების ნაკლებობა. ოთახის მცენარეთა ყველაზე უფრო გავრცელებული დაავადებაა — აბლაბუდიანი ტკიპა. იგი წითელი ფერისაა, შეუიარაღებელი თვალით არა ჩანს. ტკიპა, ჩვეულებრივ, ფოთლის ქვედა მხარეზე სახლდება და ფოთლის უჯრედის წვენს წუწნის, რის შედეგადაც ფოთოლი ყვითლდება და ხმება. მის წინააღმდეგ იხმარება სუსტი თამბაქოს ნაყენი (ნახევარი სუფრის კოვზი თამბაქო და ერთი ჭიქა თბილი წყალი) და მწვანე საპნის ხსნარი (5 გრამი საპონი ერთ ლიტრ წყალზე). ორი-სამი საათის შემდეგ მცენარის ფოთლები თბილი წყლით უნდა ჩამოვრეცხოთ. კარგ შედეგს იძლევა დუსტის ან გოგირდის ფქვილის შეფრქვევაც. საშიში მავნებელია თრიფსიც. იგი მუქი ფერის, ფრთიანი მწერია, ფოთლის კანს ფხეკს და მისი წვენით იკვებება. თრიფსის წინააღმდეგ უნდა ვიხმაროთ ანაბაზინი, ნიკოტინსულფატი (1 გრამი 1 ლიტრ წყალზე), ან მწვანე საპნის ხსნარი (4 გრამი 1 ლიტრ წყალზე). ფოთოლს აზიანებს ფარიანაც. მას მრავალნაირი ფორმა აქვს და ფარის მსგავსადაა ამობერილი. ფარიანასთან ბრძოლისთვის საჭიროა თამბაქოსა და საპნის ნახარშს დენატურირებული სპირტის ან ნავთის ნაზავი დაემატოს. ნაკლებ მავნებელი როდია ცრუფარიანაც, რომელიც ფოთლის უბეში სახლდება. მის მოსახსნობად აღნიშნული ნაზავი გამოიყენება. ოთახის მცენარეს ჭიაყელებიც აყენებენ ზიანს. მათი მოსპობა ასე შეიძლება: მცენარე, ქოთნით ან კასრით, 50 C გამთბარ წყალში თავსდება. ჭიაყელები ზედაპირზე ამოცოცდებიან და მათი მოსპობა უკვე ადვილია. არსებობს სხვა დაავადებაც, ეს არის ე. წ. ყანგვა — მცენარის სოკოვანი დაავადება: ზაფხულში ფოთლებზე წარმოიქმნება სპორები, რომლებიც ზამთარში შავ ფერს იღებს. ყანგვას 0,5-პროცენტიანი ბორდოს ხსნარით ებრძვიან. ქლოროზი — ფოთლის გაყვითლება იმის ნიშანია, რომ მცენარეს რკინა აკლია ან ნიადაგი ზედმეტად ნატიოა, ან კიდევ — მცენარე ბნელ ადგილსა დგას. ქლოროზის დროს ოთახის მცენარე 2-3 კვირის განმავლობაში დღეგამოშვებით რკინის აჯასპით (1 გრამი 1 ლიტრ წყალზე) უნდა მოვრწყათ. ზოგჯერ მცენარეს თეთრი ფიფქისებრი სოკოვანი დაავადება უჩნდება. მის წინააღმდეგ ერთპროცენტიანი კოლოიდური გოგირდისა და წყლის ნაზავი იხმარება. ვარდის ფოთლების განსაკურნავად საპნიან წყალში გახსნილი შაბიამნის 0,5-პროცენტიანი ხსნარი (5 გრამი შაბიამანი, 10 გრამი საპონი და ერთი ლიტრა წყალი) გამოიყენება. ეს ხსნარი ვარდის ფოთლებს კვირაში ერთხელ უნდა მოვასხუროთ.

ს ა ძ ი ე ბ ე ლ ი

ნ. ხოძა — წითელ მოედანზე (მოთხრობა, თარგმნა მ. კვაჭაძემ) 2
ს. ბეჩოელი—ბორჯომის ხეობაში (ნარკვევი) . 4
ვიდრე ცხოვრების დიდ გზაზე გაგვიდოდე 7
ი. იოსელიანი — ხომალდი-ხაფანგი (ნამდვილი ამბავი) 10
მოსწავლეთა შემოქმედება . . . 14
კ. კობერიძე — ნაჩუქარი იადონი (მოთხრობა) 19
ე. ბუხრაშვილი — ჩაცმულობის ისტორია (წერილი) 22
კითხვა-პასუხი.
რ. ნათაძე — რა არის სიზმარი? (წერილი) . . 24
ლ. მალაზონია — როგორ ასწავლა პატარა ბიჭმა ხელმწიფეს ჭკუა (ზღაპარი) 26
ახალი წიგნები 28
უცხოური იუმორი 29
ჯადოსნური სარკე 29
ცხრაკლიტული 30
გამოგადგები 31
შ. ისაკაძე — ოთახის მცენარეთა მოვლა (წერილი) 31

გარეკანის 1-ლი გვერდის მხატვრობა — **ზურაბ ფორჩხიძისა.**

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია.

სარედაქციო კოლეგია: ფილიპე ბერიძე, შოთა გაბელაია, ნოდარ გურაბანიძე, ჯუანშერ კვარაცხელია, სერგო კლდიაშვილი, მურმან ლებანიძე, ზურაბ ლეშკაშელი (პ/მგ. მდივანი), **მარიჯანი, თენგიზ სამსონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი** (მხატვარი-რედაქტორი).

ჩვენი მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის—93-94-88, 93-31-81, პ/მგ. მდივნის 93-94-37 93-53-05, განყოფილებების—93-94-29

„ПИОНЕРИ". На грузинском языке. Адрес редакции: Тбилиси, ул. Ленина, 14.
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 00960 ტირ. 105 000. პირ. ფურ. რაოდ. 4½, ფიზ. ფურ. რაოდ. 2. ხელმ.წერ. დასაბ. 18/XII-68 წ. სტამბის შეკვ. 4228.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ ებრუნდებათ.

ფასი 20 კაპიკი

თბილისში ფცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეგზავნებათ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძველ ეგვიპტელთა
ტანსაცმელი.

ანტიკური ხანის
ბერძენთა ტანსაცმელი.

ანტიკური ხანის
რომაელთა ტანსაცმელი.

მე-13 საუკუნის
გერმანელთა ტანსაცმელი.

მე-15 საუკუნის ინგლისელთა
ტანსაცმელი.

ფრანგების ტანსაცმელი. მე-14
და მე-15 საუკ.

მე-16 საუკ. ესპანეთის მაღალი
წრეების ტანსაცმელი

მე-17 საუკ. საფრანგეთის მაღალი
წრეების ტანსაცმელი.

მე-17 საუკ. საფრანგეთის დაბალი
წრეების ტანსაცმელი.

მე-19 საუკ. პირველი ნახევრის
რუსეთის წარჩინებული წრეების
ტანსაცმელი.

ვარდი

ორქიდეა

ტიტა



კაქტუსი

ნარგიზი



უოჩივარდა

ფუქსია

ქრიზანთემა

ИНДЕКС 76157